№ 2999
ხუთშაბათი,
9 თებერვალი

ცნობის ფურცელი

№ 2999
ხუთშაბათი,
9 თებერვალი

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დ. ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავენ, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

ამ ნომერში 17 გვერდია.

1906 წელს „ცნობის ფურცელი" სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი **გადიდებული** იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით **ერთის წლით 6** მან. **ერთის თვით** 50 კაპ.

საზღვარ-გარედ გაგზავნით **ერთის წლით 11** მან. **ერთის თვით 1 მან.**

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა მხატვარი ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი. „ცნობის ფურცლის" წლიურ ხელისმომწერთ ერთის მანეთის დამატებით გაეგზავნებათ იუმორისტული ჟურნალი „ნაპერწკალი".

ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели".

დილით ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში აბონემენტის რიცხვში **დილით**

ხუთშაბათს, 9 თებერვალს, 1906 წ., ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ვალერიან გუნიას საბენეფისოდ** ვლ. ალექსი-მესხიშვილის **მონაწილეობით, ნაშუადღევის $12\frac{1}{2}$ საათზედ.**

I
ორი გმირი
ისტორ. დრამა 3 მოქმ. გურულების ცხოვრებიდან ვ. გუნიასი.

II
პირველად ახალი პიესა
იღბალია
ანტრაქტი ერთს მოქმ. თარგ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებს მთელი დასი
წარმოდგენა დაიწყება დილის $12\frac{1}{2}$ საათზე, გათავდება 3-ზე.
ადგილების ფასი დაკლებულია. შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.
მზადდება წარმოსადგენად „ნიადვარი", „ავადმყოფი ხალხი", „დალატი".
რეჟისორი ვ. გუნია.

განცხადება

ტფ. მედროგეთა და მეეტლეთა შესახებ არსებულ სავალდებულო დადგენილებათა მე-13 §-ის თანახმად, ქალაქის გამგეობა სთხოვს ეტლების პატრონთ მობრძანდნენ 17 თებერვალს ნაშუადღევის 3 საათზედ ქალაქის გამგეობაში თავიანთ ბლიახებით ან სავალდებულო დადგენილებათა წიგნაკებით სტაროსტისა და მის კანდიდატის ასარჩევად. (6.—3—2)

ვისაც სურს
სახლი ააშენოს, ან უკვე აშენებული სახლი გადააკეთოს კეთიანათ, იაფად და მკვიდრათ, ვკისრულობ ხელმძღვანელობას და ზედამხედველობას ყველასათვის ხელმისაწვდომ პირობებით. ვიღებ სახაზავ საქმეებსაც.

მსურველმა მომმართოს: 1) სასახლის ქუჩაზე, სარაჯიშვილის სახლის ეზოში, Бюро „Сотрудникъ"-ის კონტორაში, ტელეფონი № 60, ან 2) ჩუღურეთში, გონჩარნი ქუჩაზე, საკ. სახლი № 28.
(10—6—4) ტეხნიკოსი **გიგო თოიძე.**

ტფ. თათარ-სომეხთა შეტაკების დროს

დაიკარგა მილიციონერი

ივანე ანდრიას ძე ტორიკაშვილი. 23 წლისა, საშუალო ტანისა, შავგრიმანი, შავ თვალ-წარბა, შავ წვერ-ულვაშებიანი. ვინც რამ იცის ან გაიგოს იმის შესახებ, ვთხოვ მაცნობონ მე, იმის ძმას სიმონ ანდრიას ძე ტორიკაშვილს, „ცნობ. ფურ." რედაქციის ადრესით.

P. S. ვთხოვ ადგილობრივ სომხურ და აგრეთვე თათრულ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს ჩემი განცხადება. (უ. 6—5)

ა. პ. შულგინა-მესხი
გაკვეთილები საოპერო სიმღერისა, ამზადებს ქართულ ოპერებისთვის და აგრეთვე პრაქტიკული და თეორეტიული გაკვეთილები ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებისა. ვერის დაღმართი № 1 (თვ.)

ვეტცელის თეატრში
პარასკევს, 10 თებერვალს
სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება
თანამედროვე დრამა
„მეზობლები"
პიესა რამიშვილისა.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ასათიანი, კიკნაძისა, ჩაგუნავა, მერეთელი, ყიფიანი; ბ-ნნი ადამიძე, ანანიაშვილი, გიორგობიანი, პარიგო, გი—გო და სხვანი.
დასაწყისი საღამოს შვიდ საათზე.
ბილეთების ყიდვა შეიძლება ვეტცელის თეატრში პარასკევს 10 საათიდან დაწყებამდე.
(1—უ.—1) რეჟისორი **ბ-ნი ადამიძე.**

ექიმი
მ. პ. ბეჟიზანოვი
სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—$7\frac{1}{2}$ საათზედ. (თვ.—24)

მედიცინის დოქტორი
გ. ი. მურადოვი
ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 დან—11-მდე და 6-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (51—368—57)

ექიმი
გ. ა. გედევანი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილის 8-დან 9 საათამდე. საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (31—6.—31)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 8. (წლ.)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
განაახლა კბილის ავადმყოფთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. ავადმყოფებს იღებს 9—2 და 4—7 ს. მიხაილოვის პროსპექტი, მატინოვის სახლი № 32. ძველ ბინის გვერდზე.

ექიმი
პ. ა. არდაზიანი
იღებს ბავშვებს და შინაგან ავადმყოფებს დილის 8—9 ს., საღამოს 4—7 ს. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა (19—11)

ექიმი
გ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—$11\frac{1}{2}$ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი სვანიშვილისა.

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.
მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი
გ. გ. ალაჯანოვი. 1—2 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ტყავის ავადმყოფობანი.
ე. ნ. ეზიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი ელექტრონით წამლობა.
პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
ზ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
გ. პ. კიმოეტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
გ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
პ. ა. ბიიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—44)

ქ. ქუთაისში
ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
იღებს ავადმყოფებს (ყური, ყელი, ცხვირი და შინაგანი სნეულებანი), პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვისა. (15—კვ.—2)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

ტფილისი, 9 თებერვალი.

ორი დღის წინად ჩვენ რუსეთის რევოლიუციის ერთი სუსტი მხარე აღვნიშნეთ. ეს სისუსტე—სარევოლიუციო ძალთა ცენტრალისტური ორგანიზაციაა, რომელიც აღმოცენდა ადგილობრივ ინტერესებისა, საჭიროებისა და მისწრაფებისადმი გულგრილობის ნიადაგზე. ცენტრალიზმი აუცილებლად იგულისხმებს საუფროს-უმცროსო დისციპლინას, უფროსის ბრძანებლობას, უმცროსის მორჩილებას და ძირის სართულების ზემო სართულებთან შემაერთებელს ძაფებს. ცენტრალიზმი მხოლოდ იმისთვის არის ხელსაყრელი, ვისაც ხელთ საკმაო ძალა უპყრია, რომ საერთო გეგმის ასასრულებლად ერთბაშად მოახდინოს ყველა თავის ძალების მობილიზაცია. სწორედ ამის გამო ცენტრალიზმი აუცილებელ საჭიროებად ითვლება სახელმწიფოს ჯარებისთვის, თუნდაც თვით ეს სახელმწიფო მმართველობის და კანონმდებლობის მხრივ რამდენსამე ერთი მეორისაგან დამოუკიდებელ ნაწილად იყოს დაყოფილი. სადაც ცენტრალიზმი ისე მტკიცედ არ არის განხორციელებული, რომ ცენტრალურ მმართველობის ბრძანება ყველგან და ყველამ განუხრელად და სრულის ერთგულებით შეასრულოს, იქ ცენტრალიზმი ნამდვილად ორგანიზაციის უქონლობაა და არა სისტემა. სარევოლიუციო ბრძოლა თვითშეგნების უმაღლესი გამოხატულებაა. რევოლიუციის ბრძოლის ველზე ბრძანებით ადამიანის გამოყვანა შეუძლებელია. ნამდვილი მებრძოლი რევოლიუციონერი მხოლოდ ისაა, ვინც მთელის თავის არსებით, გონებით, გრძნობით, გულით და სულით გამზადებულია ან სიკვდილისთვის და ან გამარჯვებისთვის. სამხედრო ტეხნიკის თანამედროვე განვითარების ხანაში რევოლიუციის გამარჯვება მხოლოდ იმიტომ არის შესაძლებელი, რომ ბრძანების აღმასრულებელ რეაქციის ძალებს უპირისპირდება ღრმა ზნეობრივი შეგნება და თავგანწირულება. რევოლიუციის იდეალი, რევოლიუციის ლოზუნგი საბრძოლველად გამზადებულ ხალხის ყველა გულის ტკივილს უნდა სდებდეს მალამოს—უამისოდ ხალხი ჭეშმარიტად თავგანწირულ გმირებს ვერ გამოიყვანს ბრძოლის ველზე. მხოლოდ ის იბრძვის თავგანწირულად, ვინც თავის საკუთარის ცხოვრების პირობებიდან დასკვნა ბრძოლის აუცილებელი საჭიროება, და არა ის, ვინც ბრძოლის ველზე ზემო სართულებიდან მიღებულ ბრძანების გამო მიჰყავთ. რევოლიუცია—ხორცშესხმული თვითმოქმედებაა და არა მორჩილება.

ოქტომბრის რევოლიუციას თავით ბოლომდე სტიქიური ხასიათი ჰქონდა. ოქტომბერში სარევოლიუციო ბრძოლის დაწყება არავის არ უუწყებია რუსეთისთვის მანიფესტით, არავის არ გამოუცია მთელი რუსეთისთვის სავალდებულო ბრძანება, იბრძოლეთ. ამისდა მიუხედავად, ოქტომბერში დიდებული, სამაგალითო საყოველთაო გაფიცვა გაიმართა, რომელსაც ყველგან ნებაყოფლობით, თვითმოქმედებით მისცა ხალხმა მხარი და კიდეც გაუკაფა გზა გამარჯვებისთვის. ტფილისში, მაგალითად, ოქტომბრის სრულიად რუსეთის საყოველთაო გაფიცვა სულ შემთხვევით წამოეწია რევოლიუციონერებს ადგილობრივის გაფიცვისთვის მზადების დროს; ამ ადგილობრივი გაფიცვით განზრახვა ჰქონდათ გამოეცხადებინათ პროტესტი ქართლის სოფლების ყაზახებისაგან აწიოკების წინააღმდეგ. მაგრამ სწორედ ამ დროს მოსკოვში დაწყებულმა გაფიცვამ ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ სრულიად რუსეთის გაფიცვად გადაიქცა, და ტფილისმაც ერთსა და იმავე დროს ორი რიგის ლოზუნგი წამოაყენა, ადგილობრივი და საერთო.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ რევოლიუცია აუცილებლად სტიქიური უნდა იყოს; პირიქით, ჩვენ გვწამს, რომ რევოლიუცია საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარების ერთ-ერთი თვალსაჩინო მომენტია, აუცილებელი და ნორმალური. სწორედ ამიტომ სარევოლიუციო მოძრაობაში ისევე შესაძლებელია და ხელსაყრელი ორგანიზაციის შეტანა, როგორც, მაგალითად, საარჩევნო კამპანიაში. რაც უფრო მეტი შეგნებაა, მით უფრო მტკიცე ორგანიზაციის შექმნა შეიძლება, მაგრამ ორგანიზაცია არასოდეს არ უნდა გადასცდეს იმ საზღვარს, რომელიც თვითმოქმედების გადაღმა იმყოფება და ნაბრძანებს, ესე იგი ნაძალადევს მოქმედებას მოითხოვს.

რუსეთი მეტად დიდს ტერიტორიას შეიცავს, ამ ტერიტორიაზე მრავალი სხვა და სხვა ეროვნების ხალხი სცხოვრობს; თითოეულს ერს საერთო საჭიროების გარდა ბევრი დიდმნიშვნელოვანი საკუთარი გასაჭირი ადგია; ასეთს პირობებში მთელის რუსეთისთვის ერთი ცენტრალისტური ორგანიზაცია აუცილებლად იგულისხმებს თვითმოქმედების რეალურ ნიადაგის შევიწროებას, შემოქმედების შესუსტებას და, მაშასადამე, საზოგადოებრივ ძალების უმოქმედობას. საზოგადოებრივ ძალების ამგვარ სისუსტის სურათს წარმოადგენს რუსეთის სარევოლიუციო მოძრაობა ოქტომბრის შემდეგ. ცენტრალურ ორგანიზაციებისაგან გამოცხადებული ორივე საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, ნოემბრისა და დეკემბრისა, დამარცხდა; ადგილობრივ ორგანიზაციებისაგან ატეხილი ბრძოლა-კი, მიუხედავად დიდის ენერგიისა და მეცადინეობისა, საყოველთაოდ ვერ გადაიქცა და ამიტომ ისიც დამარცხდა. ცხადია, რევოლიუციის გამარჯვებისთვის არც ცენტრალიზმი და არც განკერძოვებული და დამოუკიდებელი მოქმედება ადგილობრივ ორგანიზაციებისა არ ყოფილა ხელ-შემწყობი გარემოება. ცენტრალიზმი და კერძოობა—ორივე უკიდურესობაა; ჩვენ ვიცით, რომ არსებობს ერთი ისეთი სისტემა ორგანიზაციისა, რომელიც აკავშირებს ცენტრალიზმის და კერძოობის სასარგებლო თვისებებს და იმავე დროს ჰსპობს მათს სუსტს მხარეებს. ასეთის ორგანიზაციის პრინციპი—ფედერალიზმია. ფედერაცია თვითმოქმედების ნაცვლად ნაბრძანებ მოქმედებას არ აყენებს, მაგრამ განკერძოებულ მოქმედების ნაცვლად კი შეერთებულ მოქმედებას ჰქმნის.

ჩვენი მსჯელობა საორგანიზაციო საკითხის შესახებ გაგრძელდა, მაგრამ არ გვინდა მკითხველმა ის დასკვნა გამოიყვანოს ჩვენი წერილიდან, ვითომც ერთად ერთი ან უმთავრესი მიზეზი დეკემბრის რევოლიუციის დამარცხებისა სარევოლიუციო ძალთა ორგანიზაციის სისუსტე იყოს. ასეთი დასკვნა სიმართლე არ იქნება. უძლიერესი მიზეზი დეკემბრის დამარცხებისა ის არის, რომ ოქტომბრის შემდეგ რუსეთის ბურჟუაზიამ ზურგი შეუქცია და იმისი დიდი ნაწილი რეაქციასთან ერთად პირდაპირ შეებრძოლა რევოლიუციას. დეკემბერში მებრძოლ ძალთა ურთიერთობა თვალსაჩინოდ განსხვავდებოდა ოქტომბრისაგან და სწორედ ამ გარამოებას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა მოსკოვის ბრძოლისთვის.

ბრძოლას ყოველთვის ის მოიგებს, ვინც უფრო ძლიერია, მაგრამ დამარცხების შემდეგ იქნება დამორჩილებული მებრძოლი მოწინააღმდეგისაგან, თუ უბრძოლველად დაჰნებდება იგი თავის მოპირდაპირეს—ეს ერთი და იგივე არ არის. ბრძოლის ველზე დამარცხება არც გულს გასტეხს, არც სამარცხვინო ბეჭედს დაასვამს ადამიანს, უბრძოლველად მოპირდაპირის წინაშე მუხლის მოდრეკა კი—გულს აფუჭებს, ადამიანს სიამაყის გრძნობასართმევს, თავის საკუთარ თვალში უღირს ქმნილებად ჰხდის. ჩვენში ბრძოლა არ ყოფილა დეკემბერსა და იანვარში, ბრძოლა მოსკოვში წააგეს რევოლიუციონერებმა, ხალხი კი იძულებული შეიქნა ქუთაისის და ტფილისის გუბერნიებში უბრძოლველად დაჰმორჩილებოდა. ასეთი დამორჩილება, ბევრად უფრო უარესი ვიდრე ბრძოლის ველზე დამარცხება, მთლად განმათავისუფლებელ ძალთა ცენტრალისტურ ორგანიზაციის ნაყოფია და ამიტომ მიგვაჩნდა საჭიროდ ამ მხარეზე მიგვექცია მკითხველის ყურადღება.

დასავლეთ საქართველოში

გურია. ოზურგეთის განადგურების შემდეგ რომ რიგი დ. ნაგომარზე მიდგა, ეს აღარავისთვის საეჭვო აღარ იყო, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, კაცის გული გაუტეხელია და ვიდრე პირში სული შერჩენია, სრულ სასოწარკვეთილებას ვერ მიეცემა. „წყალ წაღებული ხავსს ეჭიდებოდაო", ამაზედ არის ნათქვამი. ასეთ ხავსს პირველად ოზურგეთის მოურავმა ბ-ნ ხუნდაძემ წაავლო ხელი, როცა ქათინაურები შესძღვნა თავისი სამოურავო ქალაქის გამანადგურებელს, როცა ნაცრათა და ნახშირად ქცეულს ქალაქში იპოვა წინდი მშვიდობიანისა და წყნარ ცხოვრებისა. ხუნდაძის მაგალითს ნაგომრის მოვაჭრეებმაც მიჰბაძეს და 31 იანვარს ოზურგეთიდან მოსულ ჯარს პურ-მარილითა და საეკლესიო დროშებით შეხვდნენ, სინანული და კეთილ-საიმედო გრძნობანი ფეხთა ქვეშ ფიანდაზად დაუფინეს, მაგრამ არა გამოვიდა რა. იმავე ღამეს რამდენიმე ათს სიმინდით სავსე ნალიას წაეკიდა ცეცხლი. რამდენიმე სოფლის ოჯახი გადიბუგა. ორ მოსახლეს ს. ქვედა-აკეთშიაც გაუჩნდა ცეცხლი. საშინელი იყო ეს ღამე ნაგომრის ახლო-მახლო მკვიდრთათვის. ხალხი დაიძრა და მთებში გაიხიზნა, ეგება „კაცის სული მაინც გადავარჩინოთო.

ასეთ შიშსა და წიოკობაში გათენდა პირველი თებერვალი და ჯარის უფროსს ბ-ნ კრილოვს აკეთიდან ეახლა დეპუტაცია, რომელმაც მოახსენა, რომ თქვენ მოთხოვნილებათაგან ზოგი დავაკმაყოფილეთ უკვე, ზოგსაც ვაკმაყოფილებთ და ნუ გაგვწირავთ, ნუ გაგვანადგურებთო. ამაზედ ბ-ნმა კრილოვმა ბრძანა, რომ აკეთთან, როგორც ლანჩხუთის საბოქაულო ნაწილთან, მე არაფერი საქმე მქონდა და, მაშასადამე, თქვენც შეგეძლოთ დამშვიდებულნი ყოფილიყავით, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს დილით თქვენებმა ერთ ყაზახს ესროლეს და ეს კი აღარ მოითმინებაო. ამ ლაპარაკის დროს ს. ქვედა აკეთში რამდენისამე მოსახლისას გაჩნდა ცეცხლი, რაზედაც დეპუტაციამ მიუთითა ბ-ნ კრილოვს და დაუმატა, რომ ყაზახის გამსროლელს ვიპოვით და დასაჯეთ, როგორც გენებოთ, ხოლო მთელ სოფელს ნუ აიკლებთო. კარგი, წაბრძანდითო, სთქვა ბ. კრილოვმა, ყაზახებს იქიდან ეხლავე გამოვუძახებო. მაგრამ ეს დაპირებული „ახლავე" ისე გაგრძელდა, რომ ქვედა-აკეთში ორმოცდა ათამდე კომლის სახლ-კარი გადაიბუგა, დაიწვა აგრეთვე კ. გოგიბერიძის სახერხავი ქარხანა ხე-ტყის საწყობიანა. გოგიბერიძეს ადგილობრივ მაზრის უფროსისაგან კეთილ-საიმედო კაცის მოწმობაც ჰქონოდა აღებული, მაგრამ ზედაც არავის შეხედა. გოგიბერიძის ზარალი ორმოცი ათას მანეთამდე იქნება.

ერთ ოჯახში გიჟი ყოფილა დამბული და ისე ანაზდად თურმე წაუკიდეს ცეცხლი, რომ ნათესავებმა იმისი სახლიდან გამოყვანა ვეღარ მოასწრეს და, რა თქმა უნდა, შიგვე დაიწვა.

იმავე დღეს დაიწვა დ. ნაგომარი და იმის გარშემო მობინადრე სოფლელები. გადარჩა მხოლოდ ეკკლესია და აფთიაქი და, ვგონებ, ერთი სახლიც, სადაც ადგილობრივი მღვდელი ბინადრობდა.

ყოველივე ეს, ბ-ნ ხუნდაძის სიტყვით რომ ვსთქვათ, ნაშუადღევის ორ საათამდე „მოწესრიგდა" და ჯარი ოზურგეთისაკენ გაბრუნდა.

მეორე დღეს, 2 თებერვალს, ბ-ნ კრილოვის განკარგულებით ლანჩხუთის საბოქაულოს ყველა მცხოვრები ძიმითის კანცელარიაზე დაიბარეს, სადაც აუარებელი ხალხი გამოცხადდა საეკლესიო დროშებით, ხატებით, თეთრის ბაირაღებით და შემოსილ მღვდლებით. ხალხმა დაიფიცა მეფის ერთგულებაზე, შეადგინა განაჩენი და გადასცა ლანჩხუთის ბოქაულს ბ-ნ კრილოვთან წარსადგენად. ხოლო რამდენად გასჭრის ეს საშუალება და რამდენად ასცდება ლანჩხუთის საბოქაულოს განადგურება, ამას მომავალი დაგვანახვებს. მაგრამ უკეთუ „მშვიდობა და სიწყნარე" ჯერ ცეცხლის ალში და შემდეგ დანაცრებულ დაბა-სოფლებში არის საძებნელი, მაშინ ლანჩხუთელები ოზურგეთელებზე ნაკლებნი რითი არიან, რომ ასეთი „მშვიდობა და სიწყნარე" მაინცა და მაინც იუკადრისონ! O tempora, o mores!

ახირებული.

სენაკი (გზა და გზ. ნახული და გაგონილი*). წინა წერილში აღვნიშნეთ, ღამე მისვლამ სენაკში რა უკიდურეს მდგომარეობაში ჩამაყენა. კარგი კიდევ, რომ აღმომიჩნდა ნაცნობი აფიცერი, რომელმაც მფარველობა გამიწია და სადგურიდან სასტუმროში მიმიყვანა ისე, რომ არც გამჩხრიკეს და არც სხვა ვნება მომაყენეს. ეხლა ნებას ვითხოვ მკითხველისაგან ჩემ მფარველ აფიცერისა და მასთან ბაასის შესახებ რამდენიმე სიტყვა მოვახსენო.

ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რა გზით გადავსულიყავ სადგურიდან სასტუმროში, რომ ჩემთან მოვიდა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი კაცი, მომესალმა და ჩემგან რომ მაგიერი არ მიიღო, გადამეხვია და მაკოცა. მართალი გითხრა, მე ეს ვიუცხოვე, რუსულად დავეკითხე, ვინა ბრძანდებით-მეთქი: „კაი ბიჭი ხარ და მიცნობო", მიპასუხა აფიცერმა და ღიმილით ფერება დამიწყო. დავაკვირდი, ბევრი ვიგონე და როცა ჩემმა მეხსიერებამ ვერაფერი გააწყო-რა, მეც ვკითხე ვინაობა. დამისახელა თავისი თავი და მაშინ მეც გადავეხვიე და ძმურად მივესალმე, ჩემი ნაცნობი აღმოჩნდა სასწავლებ-

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2998.

ლის ამხანაგი, რომელთან ერთადაც საშუალო სასწავლებელი გავათავე. ამის შემდეგ ცხოვრებამ გაგვაშორა ერთმანეთს და 22 წლის შემდეგ შევხვდით ახალ-სენაკში.

როგორც ჩვეულებრივად ხდება ხოლმე, ჩვენც პირველ ხანებში ბაასის გამართვა ვერ მოვახერხეთ, კანტი-კუნტათ ვაძლევდით ერთმანეთს კითხვებს და პასუხს რომ მივიღებდით, ერთმანეთს შევყურებდით, თითქო ველოდით—აბა ვინ დაიწყებს ლაპარაკსაო. ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში ვიყავით იმ დრომდე, ვიდრე თანამედროვე საკითხებზე არ ჩამოვარდა ლაპარაკი, როდესაც კრიჭა ორივეს გაგვეხსნა და ერთმანეთს ვასწრებდით შთაბეჭდილების გაზიარებას.

თანამედროვე საკითხთა შორის დღეს-დღეობით ხომ ყველაზე საინტეროდ უნდა ჩაითვალოს ჩვენი ქვეყნის გადაბუგვა და განადგურება და სწორედ აქ შევჩერდით კარგა ხანს, მით უმეტესად ჩემი ამხანაგი პირველ ეშელონს მოყოლოდა დასავლეთ საქართველოში და, რა თქმა უნდა, ის, რაც 8 იანვრიდან იმერეთში მოხდა, თავის თვალით ჰქონდა ნახული და ყურით გაგონილი.

— კაცო, ასე სასტიკად რომ მოეპყარით ჩვენ სამშობლოს უდიდეს ნაწილს, რა ბრალსა სდებთ?—დავეკითხე მე.

— მაგის პასუხი დეე იმათ მოგცენ, ვინც ასეთი მდგომარეობა შექმნა და ქვეყნის სიმდიდრე ცეცხლსა და ძარცვა-გლეჯას მისცა და, მე-კი გეტყვი ორიოდე სიტყვას იმის შესახებ, თუ რა ხმები დადიოდა თქვენს შესახებ და რამ გააალმასა ისე ჯარი, რომ აღარაფერს ინდობს. წინდაწინვე გეუბნები, რომ რასაც ეხლა გეტყვი, იმითი ჯარის მოქმედების გამართლება სრულებით არა მსურს.

ჯერ ისევ ქალაქში ვიყავით და არც-კი ვიცოდით, რომ ჩვენც მოგვიხდებოდა აქეთ წამოსვლა, რომ მთელი სალაპარაკო აფიცრობისა დასავლეთი საქართველო იყო. იქ, ჩვენამდის მოსულ ხმებით, ყოველივე, რასაც-კი რუსული სახელი ჰქონდა, დამხობილი და მიწასთან გასწორებული იყო, ამავე ხმებით, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ჭორებით, გუბერნატორი რევოლიუციას სათავეში ედგა, იარაღ აყრილი ჯარი ქუთაისსა და სხვა ქალაქებისა ხალხს დაემორჩილა და ტყვედ გაჰყვა, რკინის გზის ლიანდაგი აყრილი უნდა ყოფილიყო, ხიდები აფეთქებული, ტუნელი აფეთქებულ ორთქლმავალით დახურული, ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო პოზიციები უნდა სჭეროდა შეიარაღებულ ხალხს, რომელიც ყოველთვის მზად იყო შებრძოლებოდა ჯარს, თუ მას გამოგზავნიდნენ ტფილისიდან; რუსი მოხელეები, იმავე ჭორებით, გადაყენებულნი იყვნენ. სახელმწიფო დაწესებულებანი განადგურების შემდეგ ხალხის მხრით, შეჩერებული და ბევრი ამისთანა სხვა საშინელება... ამასობაში, ერთ მშვენიერ დღეს, ბძანება მივიღეთ დასავლეთ საქართველოში წასასვლელად. შენ წარმოიდგინე ჩემისთანა კაცის მდგომარეობა—წაუსვლელობა ხომ არ ივარგებდა და წასვლა რასაც მიქადდა მე და ჩემისთანებს, შენ ადვილად მიხვდები. მეტი ჯანი აღარ იყო—ავიბარგენით, ჩავსხედით სამხედრო მატარებელში და პირველ ეშელონად გამოვემგზავრეთ. გზაში ხომ ლაპარაკმა იმერეთის შესახებ იმატა. რაც უფრო ვუახლოვდებოდით ჩვენს მიზანს, მით უფრო გაზვიადებული ამბები მოჰქონდათ, და ხაშურში რომ მივედით, იქ ასეთი ამბავი დაგვახვედრეს—დასავლეთი საქართველო რესპუბლიკად არის გამოცხადებული, პრეზიდენტი და დროებით მთავრობა არსებობს, ტყვედ წაყვანილი იარაღ აყრილი ჯარისკაცები სახალხო მილიციას შეუერთდა დამუდამ მზად არის ჩვენთან საბრძოლველად. ამ ჭორს ისიც დაუმატეს, რომ ტუნელში თითქმის ყოველ ნაბიჯზე ნაღმებია ჩალაგებული და პირველი ცდა იქ შესვლისა აუცილებელ უბედურებას გვიქადის და ესეც რომ არ იყოსო, გვითხრეს, წიფასთან ჩასაფრებული სახალხო მილიცია, 3000 კაცისაგან შემდგარი, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს და არ გაგიშვებთო.

ჯერ ეს ჭორები არ მოგვენელებინა, რომ სურამიდან ამბავი ჩამოიტანეს, წიფასთან მყოფ ტენგინის პოლკის როტის გასანთავისუფლებლად წასულ ყაზახების სოტნას შეიარაღებულმა მილიციამ დიდი ზარალი მიაყენა და როტა მაინც ვერ დაიხსნაო.— მართალი გითხრა, ამ ხმებს ეჭვის თვალით ვუყურებდი, რადგან სხვაზე უკეთესად ვიცოდი, რომ ჩვენთან მოსული ხმები გაზვიადებულია, მაგრამ რას ვიზამდი. რაც შეეხება ყაზახების შეტაკებას მილიციასთან, ნამდვილის გაგება ჩვენთვის შეუძლებელი იყო, რადგან ეს ამბავი სწორედ მაშინ მოჩმახეს, როცა ვარვარინოსაკენ დავიძარით. ამასთან ისიც წარმოიდგინე, რა გაგულისებული იქნებოდა ჯარი და განსაკუთრებით ჩვენი თანამგზავრი პლასტუნები, როცა ამხანაგების დამარცხების ამბავი გაიგეს. გული ნაღველით მევსებოდა, როცა ვხედავდი რა გააფრთებული იყო ჯარი და ისიც კარგად მქონდა გათვალისწინებული, რა უბედურება მიელოდა ჩვენ ბედკრულ ქვეყანას და იმის მიუხედავად ვერაფერს ვამბობდი—იმის გაქარწყლებას, რაც გვესმოდა, არ შემეძლო ნამდვილის უცოდინარობის გამო, ხოლო მართლის მთქმელი არსად იყო. ვარვარინოში გადმოვსხედით. ჯარი საომრად მოემზადა, ყველაფერი მიღებულ იქნა სახეში. ჯარმა ჩვეულებრივი პირჯვარი გადაიწერა და გავწიეთ. ვიდრე ტუნელთან მივიდოდით, ჯარისკაცებს არა უშავდათ რა და როცა ბნელი შესავალი ტუნელისა გამოჩნდა, ცოტა არ არის, ფერი გვეცვალა—მახე აქ მოგველოდა და ფიქრი იმის შესახებ, რომ ადვილი შესაძლებელია ჩვენი ცოდვილი სული აქ მივაბაროთ ზეცას, მოსვენებას არ გვაძლევდა. ტუნელის შესავალს რომ მიუახლოვდით, შევჩერდით; წინადვე მომზადებული ჩირაღდნები და სანათები გავაჩაღეთ. სამ ხაზიან თოფებში ჯარის-კაცებმა თითო პაჩკა პატრონი ჩაალაგეს, ხოლო მეორე პაჩკა ხელდახელად ჰქონდათ მომზადებული. რაზმობრივი სიარული ჯარისა შეუძლებელი აღმოჩნდა. ჯარის-კაცები გაიფანტნენ და ისე შევიდნენ ტუნელში. აქეთ-იქით ჩირაღდნები და სანთლები გზას გვინათებდნენ. მივდიოდით ნელის ნაბიჯით და სიფრთხილით. ხმას არავინ იღებდა· მარტო ჯარის-კაცების წაღების ქუსლების ხმა არღვევდა სამარისებურ სიჩუმეს ტუნელისას. გულის ძგერა ყოველ ჩვენთაგანს მოსვენებას არ აძლევდა და კაცს ეგონებოდა, ეს არის, ეხლა ამოვარდება გულის ბოყვიდანაო.

კაცი ყველაფერს შეეჩვევა, ეს შენც კარგად იცი,—მითხრა ჩემმა ამხანაგმა,—და ჩვენც ნელ-ნელა შევეჩვიეთ აუტანელ მდგომარეობას. რაც დრო გადიოდა, მით უფრო თამამად მივდიოდით და პატარა ხანს უკან კაცი ლაპარაკსაც მიაჰკრავდა ყურს. მერე ჯარის კაცების სიცილიც მოისმა—ერთმანეთს სიმხდალეს უკიჟინებდნენ. რკინის გზით ბევრჯელ გამივლია ტუნელი და მაშინაც შემხუთვია სული სიბნელის გამო. ხოლო ეხლა, როცა იგივე გზა ფეხით და წყნარად უნდა გაგვევლო, მთელ საუკუნედ მომეჩვენა მე და, მგონი, ჩემს თანამგზავრებსაც- რაც უფრო ვუახლოვდებით ტუნელის გასავალს, მით უფრო გვეკარგებოდა მოთმინება და არა ერთხელ შევუკურთხეთ ტუნელის მშენებელს ამ ჯურღმულის გაკეთებისათვის. წყვდიადმა ფერი იცვალა, სინათლემ მოლახა იგი და ჩვენც გული მოგვეცა. დიდი ხანი აღარ გავიდა, რომ სინათლემ აჯობა წყვდიადს და ჩირაღდნებიც ჩავაქრეთ. ჯერ ტუნელიდან გასული არ ვიყავით, რომ დავინახეთ ორთქლმავალი, რომელიც გზაში იდგა. ამ გარემოებამ, ცოტა არ იყოს, შეგვაფიქრიანა—და ძალა-უნებურად გული აგვიძგერა ვიდრე ერთმა ჩვენთაგანმა არ დაიძახა: „ეს უთუოდ ის ორთქლმავალია, რომელიც ტუნელის დასანგრევათ ააფეთქესო.“ ამხანაგის მოსაზრება მართალი აღმოჩნდა—მივუახლოვდით ორთქლმავალს და დავრწმუნდით რომ აფეთქება ორთქლმავალისა მართლა ნდომებიათ, მაგრამ რაღაც მიზეზით ვერ მოხერხებულა. გავიარეთ ტუნელი, სინათლემ მხიარულება მოგვგვარა და ზოგმა ოხუნჯობაც დაიწყო. „დაპირებულმა ნაღმებმა რომ არ იფეთქეს, ეს რას უნდა მივაწეროთ,“ ამბობდა ერთი. „უთუოდ შეეშინდათ ჩვენი, თორემ ჩასაფრებული შეიარაღებული რაზმი ერთხელ მაინც გაისროდა თოფსაო“, ოხუნჯობდა მეორე, მესამემ-კი ჩვენგან გაგონილ ამბებს თავისი სახელი უწოდა და რუსულად დაიგინა. „სულელები იქნებოდნენ,—სთქვა მეოთხემ,—რომ ტუნელში ჩაგვსაფრებოდნენ, ხოლო ნაღმებს ვინ მიაქვავებდა იმათ! აბა ეხლა ნახეთ, რა მოხდეს—ნაბიჯს ვერ გადავდგამთ ისე, რომ შეტაკება არ მოხდეს. შეიარაღებული ხალხი უთუოდ წიფის ვიწროებშია ჩასაფრებული და იმის მოლოდინშია, რომ წავაწყდეთ და მაშინ ნახავთ სეირს“.

ამ ლაპარაკში ვართ და ერთ პატარა ხიდს მივუახლოვდით. ხიდი დანგრეული აღმოჩნდა; ორი საათის შემდეგ გავაკეთეთ. ამის მეტი ხიფათი მოლითამდე აღარ შეგვხვედრია. აქ მაზრის უფროსი ტატიშვილი დაგვიხვდა და გვაცნობა, რომ ლიანდაგი ქუთაისამდე ხელუხლებელია, მიმოსვლა მატარებლისა დაუბრკოლებლად შეიძლება და სახიფათო გზაში არაფერიაო. ამასთან ერთად გვიამბო დაწვრილებით ის, რაც მოხდა დასავლეთ საქართველოში ფოსტისა და საერთო გაფიცვების დროს და, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტენგინის პოლკის ორი როტის იარაღის აყრას, იმისთანა არა გვითხრა-რა, რომ სხვაგანაც არ მომხდარიყოს. ერთი პირი იმედი მომეცა, იქნება ხიფათს გადარჩეს-მეთქი დასავლეთი საქართველო. იმედი რომ არ გამიმართლდა, შენ თითონ აშკარად ხედავ და მიზეზი ამისა ის არის, რომ მეტად გაგულისებული წამოვიდა ჯარი და შეუძლებელი შეიქნა მათი შეკავება მეტადრე მაშინ, როცა როტების იარაღის აყრის საქმე შეიტყეს იმ ჯარის კაცთაგან, რომელთაც იარაღი ჰაყარეს. ჩვენი ეშელონი იარაღ აყრილ ჯარის-კაცებს შეხვდა შორაპნის სადგურზე. აქ მოეყვანა ისინი, გუბერნატორ სტაროსელსკის განკარგულებით, შორაპნის მაზრის უფროსის თანაშემწეს იმ აზრით რომ გაესტუმრებინა ხაშურში. ხოლო იქიდან ახალციხეს უნდა წასულიყვნენ თავის პოლკთან. ჯერ შორაპნიდან წამოსულები არ იყვნენ, რომ მივედით და უნდა გეყურებინა, რას არ უგონებდნენ ხალხს: „იარაღი რომ წაიღესო, ამბობდა ერთი უნტერ-აფიცერი,—ჩვენსა და ჩვენი მთავრობის შეურაცხყოფას მიჰყვეს ხელი; ისეთი სახელით მოიხსენიეს რუსის ჯარი, რომ სათქმელადაც-კი ძნელია; ეს რომ არ გვაკმარეს, რაც-კი რამ გვებადა, წაგვართვეს, ასე გასინჯეთ საცვალიც-კი. ჩვენ რა გზა გვქონდა, უნდა დავმორჩილებულიყავით. ეხლა, თუ ღმერთი შეგვეწია და იარაღი დავიბრუნეთ, ჩვენ ვიცით რასაც ვიზამთ და თუ არა, მაშინ ჩვენი პოლკის დროშა სამუდამოდ ჩირქ მოცხებული იქნება“-ო.

ასეთმა ლაპარაკმა იარაღ აყრილ ჯარისკაცებისამ, უკიდურეს ზომამდე გააცეცხლა ჯარი და რაც ამას მოჰყვა შენ უკვე იციო, გაათავა ჩემმა ამხანაგმა.

სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირი

(ისტორია დაარსებისა, დამფუძნებელნი და ორგანიზაცია).

შარშან, როდესაც რუს-იაპონელთა ომი გაძლიერებული იყო, მოსკოვის ერობის რეაქციონულმა ძალებმა, მოსკოვის გუბერნატორმა კრისტიმ და გენერალმა სამარინმა განიზრახეს მოსკოვის გუბერნიის გლეხთა სახელით შეედგინათ პატრიოტული ადრესი ხელმწიფე-იმპერატორის სახელობაზედ. ამ ადრესით უნდა ეთხოვათ გლეხებს, რომ არამც და არამც ომი არ შეეწყვიტა რუსეთის სრულ გამარჯვებამდის. ასეთი ადრესი სურდათ გამოექვეყნებინათ იმ დემოკრატიულ მოთხოვნილებათა საწინააღმდეგოდ, რომელიც იმ დროს ყველა კუთხიდან მოდიოდა. ადრესის ხელმომწერი მოსკოვის გუბერნიის გლეხთა შორის ძალიან ცოტა აღმოჩნდა. ამის ნაცვლად კი გლეხთა შორის აღიძრა სურვილი კავშირის შედგენისა. მოსკოვის სამეურნეო საზოგადოების წევრთ ეს აზრი წარსულ მაისში შეიმუშავეს და თავიანთი დადგენილება ორ თუ სამ გაზეთში გამოაქვეყნეს. თუ რამდენად ნაყოფიერი ნიადაგი იპოვნა ამ აზრმა გლეხთა შორის, იქიდანა სჩანს, რომ მაისში გამოქვეყნებულ დადგენილების წყალობით მკათათვეში უკვე 22 გუბერნიამ გაგზავნა თავისი წარმომადგენელი მოსკოვში დამფუძნებელთა კრებაზე დასასწრებად. ამ კრებას დაესწრო გლეხთა 100 წარმომადგენელი და 25 ინტელიგენტი.

კრებამ უწინარეს ყოვლისა გამოიკვლია ის დედა აზრი, რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა გლეხთა კავშირის პროგრამას, შეიმუშავა მომავალ მოქმედების გეგმა და ორგანიზაცია. მეტად დიდი კამათი გამოიწვია იმ საკითხმა, თუ ვის შეუძლიან შევიდეს კავშირის წევრად. კრებამ დაადგინა: „ამ საკითხის გადაწყვეტა დროებით მიენდოს ადგილობრივ ორგანიზაციებს საჭიროებისამებრ და საბოლოო გადაწყვეტა კი გადაიდოს მეორე საყოველთაო კრებისათვის“.

ორგანიზაციის შესახებ კრებამ დაადგინა: „ამ კრებამ ამოირჩიოს უმთავრესი კომიტეტი (იყო არჩეული 8 კაცი, რომელნიც დარჩნენ მოსკოვში და ამ დღიდანვე შეუდგნენ თანამდებობის აღსრულებას) და დაარსებულ იქნას საგუბერნიო, სამაზრო, სამამასახლისო და სასოფლო ორგანიზაციები“.

ნოემბერში, როდესაც მოსკოვში კრება მოხდა შემოერთებულ გუბერნიების დელეგატებისა, შეიკრიბა შემდეგ 28 გუბერნიის დელეგატი: ვორონეჟისა, ვიატსკისა, ეკატერინოსლავისა, კალუგისა, კაზანისა, კიევისა, კოსტრომისა, კურსკისა, მოსკოვისა, მაგილევისა, მინსკისა, ნიჟნი-ნოვგოროდისა, ორლოვისა, პოლტავისა, პსკოვისა, რიაზანისა, სარატოვისა, ციმბირისა, სმოლენსკიაა, ტვერისა და დონის ოლქისა. სულ დაესწრო კრებას 150 კაცი: თუმცა ამ კრებას დამხმარებელ ბიუროების წევრნიც დაესწრნენ, მაგრამ მომეტებულნი წმინდა გლეხები იყვნენ.

კამათიდან გამოირკვა, რომ ადგილობრივ ორგანიზაციების შესადგენად უფრო მოსახერხებელი და ხელ საყრელი იქნება შემდეგი მოქმედება: სოფელში, უკვე შეგნებულ გლეხთა დახმარებით, ხდება კრება. კრებას ესწრებიან მსურველნი, განურჩევლად სქესისა, ვინც კი 20 წლიწადს მიაღწია, ამ კრებაზედ, დამხმარებელ ბიუროს წევრთა შემწეობით, ირკვევა პროგრამა და აზრი სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირისა. დადგენილება სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირში ჩარიცხვისა ეგზავნება სამაზრო ან საგუბერნიო ბიუროს. კავშირის მიმდინარე საქმეების გასაძღოლად კი სდგება ადგილობრივი კომიტეტი. მეზობელ სოფლების კომიტეტები თავიანთ წრიდან დახურულის კენჭის ყრით ირჩევენ სამამასახლისო ან სამაზრო კომიტეტს, რომელმაც უნდა იზრუნოს მთელის მაზრისათვის და ეცადოს ახალ სოფლების შეერთებას. ამ რიგადვე მაზრის კომიტეტების წევრები ირჩევენ საგუბერნიო კომიტეტს, რომელიც განაგებს მთელ გუბერნიას და რომელსაც ურთი-ერთობა აქვს მთავარ კომიტეტთან. როდესაც საგუბერნიო კომიტეტი სდგება, დამხმარებელ ბიუროს ფუნქცია თავისით ბათილდება და გლეხთა კავშირის საქმის გაძღოლას თვით გლეხნი კისრულობენ.

ოქმები სამისავე კრებისა, დადგენილებანი და ყოველი მოქმედება სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირმა საქვეყნოდ გამოაცხადა. ორგანიზატორებმა ყოველი საშუალება იხმარეს, რომ გამოეაშკარავებინათ მხოლოდ პიტალო აზრი თვით გლეხებისა. ამის მიუხედავად, არამც თუ რეაქციონური პრესსა, ლიბერალურიც-კი არ მოერიდა, რომ ჩირქი მოეცხო კავშირისა და იმის კრებებისათვის. არწმუნებდნენ მკითხველს, რომ ამ კრებებზე გლეხები არ არიანო და სხვა. ყველა იკითხავს, ვისთვის რა საჭირო იყო სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის ჩირქის მოცხება? აშკარაა, იმისთვის, ვისთვისაც გლეხთა კავშირის პროგრამა არ იყო ხელსაყრელი და ვისაც ერის მძლავრმა ხმამ შეუშალა მშვიდობიანი განცხრომა გლეხთა ოფლით გაშენებულ სასახლეში. ეს აშკარად გამოითქვა თავად-აზნაურთა კრებებზე რუსეთში და თვით გრაფ ვიტტეს მოხსენებაშიაც, რომელიც გლეხთა ცხოვრების გაუმჯობესებას შეეხება.

ოზოლი.

(შემდეგი იქნება)

ახალი ამბავი

◆ **ჩხრეკა.** 7 იანვარს ჯარმა, აფიცრების მეთაურობით, გაჩხრიკა სოლოლაკის არხი და შტაბის სადგომი. გაჩხრიკეს აგრეთვე შტაბის ზოგიერთ მწერლების სადგო-

ფელეტონი

მიწით სარგებლობის უფლება *)

ჰერბერტ სპენსერისა.

(თავისუფალი თარგმანი ინგლისურიდან ი. ნაკაშიძისა).

წარმოვიდგინოთ ისეთი სულდგმულნი, რომელნიც ერთნაირად სცდილობენ თავიანთი სურვილი დაიკმაყოფილონ; წარმოვიდგინოთ ისეთი ქვეყანა, რომელიც მათის სურვილის დასაკმაყოფილებლადაა მოწყობილი; ქვეყანა, სადაც ყველანი ერთნაირად იბადებიან. მაშინათვე მივხვდებით, რომ ამ სულდგმულთ ერთნაირი უფლება უნდა ჰქონდეთ ისარგებლონ ამ ქვეყნის ნაყოფით. თუ კი თვითეული სულდგმული თავისუფალია სურვილისამებრ მოიქცეს, ოღონდ სხვების ამგვარივე თავისუფლება არ დაარღვიოს. ეს იმას ნიშნავს, რომ თვითეულ სულდგმულს თავისუფლება აქვს ისარგებლოს დედამიწით თავის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, და ამავე დროს სხვებსაც უნდა დაუთმოს ამგვარივე თავისუფლება. პირიქით, თუ ვინმე მათგანმა მხოლოდ თავის ხელში ჩაიგდო დედა-მიწა და სხვას არ ასარგებლებს, ეს იმას ნიშნავს, რომ თავისთვის მეტი თავისუფლება უნდა, ვიდრე სხვებისათვის და ამიტომ თანასწორობის ძირითად კანონს არღვევს.

ამიტომ თანასწორ უფლების, ადამიანთა შორის ძმობის წინააღმდეგია მიწის საკუთრება. რადგან თუ ერთ რომელსამე ადამიანს უფლება აქვს დედამიწის რომელიმე ნაწილი დაისაკუთროს და თავის გემოზე მოიხმაროს, თითქო რაღაც თავის განსაკუთრებულ უფლების ძალით, მაშინ ხომ სხვებიც დაიჩემებენ ამ გვარს უფლებას და დაეპატრონებიან მთელ დედამიწის ზურგს. ამგვარად მთელი დედამიწა კერძო მესაკუთრეებს ჩაუვარდებათ ხელში. იფიქრეთ ახლა, რა შედეგი მოჰყვება ამგვარ მდგომარეობას. კერძო მემამულეები მთელ დედა-მიწის ზურგს ნაწილ-ნაწილად დაიტაცებენ, დედამიწის შესახებ თავის ვითომ და კანონიერ უფლებას განაცხადებენ, არა-მემამულეთ კი მშრალზე დასტოვებენ, ესე იგი არავითარ სხვა უფლებას არ მიანიჭებენ გარდა იმისა, რომ მემამულეების წინაშე გამოცხადდნენ და ვედრებით მიმართონ: „მოიღეთ მოწყალება და რამენაირად ჩვენც გვაცხოვრეთ ამ დედამიწაზეო“. ამგვარად ისინი, ვისაც მამული არა აქვთ, არა სასურველი სტუმრები იქნებიან ამ წუთი-სოფელში. მემამულეების ნება თუ არ იქნა, ფეხის დასადგმელ მცირე ადგილსაც ვერ იშოვნიან ვერსად. ცივი უარი რომ უთხრან მემამულეებმა, მაშინ უმიწაწყლო ხალხი ხომ იძულებული იქნება სრულებით გადაშენდეს, კვალ-წმინდად აღიგავოს ამ წუთი-სოფლიდან.

ნათქვამიდან დღესავით ნათელი აზრი უნდა გამოვიყვანოთ, რომ მიწის მესაკუთრეობა უდრის ადამიანთა შორის თანასწორ თავისუფლების დარღვევას, უმიწაწყლო ხალხის დაჩაგვრა-დაბეჩავებას. ცხადზე უცხადესია, რომ ის ადამიანი, რომელიც ბატონის ნება-დაურთველად ვერ იცხოვრებს ამ დედამიწაზე, იმდენად თავისუფალი არ არის, როგორც იმისი ბატონი.

ჩვენ გარეშემო ცხოვრებას რომ დაუკვირდებით, მოვნახავთ კიდევ მეტ საბუთებს, რომელიც ძირს უთხრიან მიწის საკუთრებას. ვერავინ ვერ იტყვის, რომ დღევანდელი მიწის საკუთრების საფუძველი კანონიერია. თუ ვინმემ გაბედა და სთქვა, საკმაოა ძველი ჩვენი მატიანები გადვუშალოთ თვალწინ, რომ ხმა გავაკმენდინოთ. ძალმომრეობა, მოტყუება, სიყალბე, ძალისა და ვერაგობის უპირატესობა—აი მიწის საკუთრების დასაბამი. ძველი გუჯრები, რომლის ძალით მამულები კერძო საკუთრებად იქნა ცნობილი, ხმლით და არა კალმით არის დაწერილი; ამ გუჯრებს ამტკიცებდნენ მეომარნი და არა მართლ-მსაჯულნი; ფულით კი არა, ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდნენ მიწის პატრონებს; ლუქის მაგიერ სისხლის ბეჭედს ასვამდნენ ამ გუჯრებზე. ნუ თუ ამგვარად ნამდვილ კანონიერ უფლების შექმნა შეიძლებოდა? საეჭვოა. თუ აგრეა, რა უფლება აქვს იმ ძველ მოძალადე მემამულეების შთამომავლობას სთქვას, რომ იმისი საკუთრება კეთილ შენაძენია? მამულები მესაკუთრეთა მოდგმიდან მოდგმაზე გადადის მემკვიდრეობით, ან არა და სხვებს უვარდება ხელში ნასყიდობის ქაღალდის ძალით. მაგრამ განა შეიძლება მემკვიდრეობით და ნასყიდობის ქაღალდით გადაცემა იმ უფლებისა, რომელიც არასოდეს არა ჰქონიათ მემამულეებს? ნუ თუ მამულის ყალბი გადაცემა ნამდვილ უფლებას შეჰქმნის? როცა ნაქურდალი ნივთი აღმოაჩნდება ვისმე გარეშე კაცს, ნუ თუ სასამართლო არ დაუბრუნებს ამ ნივთს თავის პატრონს და საბუთად წამოაყენებს, რომ ნაქურდალი სხვის ხელშია გადასული? რასაკვირველია, დაუბრუნებს. თუ ნაქურდალმა ნივთმა ბევრ კაცთა ხელში გაიარა ამ ნაირად კეთილ შენაძენად, კანონიერ მემკვიდრეებად გადაიქცა? თუ კი იმ თავითვე მიწის საკუთრების უფლება არარაობა იყო, რამდენჯერაც უნდა გავამრავლოთ ეს არარაობა, რამდენ კაცის ხელშიაც უნდა გადავცეთ, მაინც არარაობად დარჩება და მტკიცე, სამართლიან უფლებას ვერ შეჰქმნის. დღევანდელი სახელმწიფო კანონიც ამტკიცებს ამას, ამ კანონის ძალით ამა თუ იმ ნივთის პატრონმა, თუ საჭიროება მოითხოვს, უნდა დაამტკიცოს, რომ იმათ, რომლებისაგანაც მან ეს ნივთი მემკვიდრეობით ან ნასყიდობით შეიძინა, ხსენებულ ნივთის გაყიდვისა ან მემკვიდრეობით გადაცემის უფლება ჰქონდათ. თუ კი პირვანდელი ანდერძი ან ნასყიდობის ქაღალდი ყალბად იყო შედგენილი, ნივთი კანონიერ გადაცემულად არ იქნება ცნობილი იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ამ ნივთმა მრავალ პატრონის ხელში გაიარა. ყალბად ნაანდერძევ ან ნაყიდ ნივთის მესაკუთრე ამ თავის საკუთრებას ჰკარგავს.

„ყველა ეს გვჯერა,—ამბობენ ზოგიერთები,—„მაგრამ ისიცა გვწამს, რომ დრო დიდებული კანონმდებელია· ის მამული, რომელსაც ძველის დროიდან ჰფლობს ადამიანი, იმის კანონიერ საკუთრებას უნდა შეადგენდეს. ის, რაც მთელ საუკუნოების განმავლობაში კერძო საკუთრებად იყო ცნობილი, რის გაყიდვა, აღებ-მიცემა შეიძლება, დღესაც თავის პატრონის უცილობელ საკუთრებად უნდა ვიცნათო“. ამ აზრს მხოლოდ მაშინ დავეთანხმებით, თუ მთქმელი რაიმე გარკვეულ საბუთებით დაგვიმტკიცებს თავის სიმართლეს. მაგალითად, შემდეგ კითხვაზე გაგვცეს პასუხი: „რამდენი ხანია საჭიროა იმისათვის, რათა ის, რაც პირველად უსამართლობა იყო, სამართლად გადაიქცეს? თან-და-თან ჟამთა მსვლელობის მიხედვით, რამდენი აკლდება საეჭვო უფლების თვისებას და რა ზომის უეჭველობა ემატება? თუ კი ყოველნაირი უფლება ვთქვათ ათასის წლის შემდეგ უეჭველ უფლებად გადაიქცევა, რამდენად განმტკიცდება იმისი უეჭველი თვისება ორი ათასი წლის შემდეგ და სხვა?“. ამ კითხვებზე საპასუხოდ მსურველმა ხომ სრულებით არა ჩვეულებრივ ანგარიშს უნდა მიმართოს.

ამ წერილში ჩვენ უყურადღებოდ ვსტოვებთ იმას, რასაც დღევანდელი სახელმწიფო კანონი სამართლიანად სცნობს. არ ვეხებით იმ სხვა და სხვა შეღავათს, უპირატესობას, რომელთაც დღევანდელი კანონი ამა თუ იმ კერძო პირთ ანიჭებს. ჩვენი მიზანია ისეთ დასკვნას დავადგეთ, რომლის საფუძველი საყოველთაო თანასწორი უფლება და სამართლიანობაა. ერთად ერთი დასკვნა კი ის არის, რომ ჩვენ უნდა უარვყოთ დღეს არსებული კერძო კაცთა ყველა უფლება დედამიწის საკუთრების შესახებ და ყველა ქაღალდების, დავთრების, გუჯრებისა, ადათების და კანონების წინააღმდეგ უნდა ვიცნათ ამ დედამიწაზე მხოლოდ მთელის კაცობრიობის საყოველთაო უფლება.

ცხადია, რომ დღევანდელ მიწის მესაკუთრეების უფლებათა გამართლება შეუძლე-

---

*) social statics, of Nerbert spencer.

მი. ჩხრეკა დაიწყო აგრეთვე პოლიციის მე-10 ნაწილში. გუშინ, 8 თებერვალს, მსროლელთა პირველმა ბატალიონმა შეჰკრა ვოგზლის, მალაკნისა და ბატარეინი ქუჩები და შეუდგა მთელი უბნის ჩხრეკას.

◆ **დათხოვნილ მოსამსახურეთა რაოდენობა.** ბაქოს გაზეთების სიტყვით, დათხოვნილთა რიცხვი ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე ადის 1500 კაცამდე, ხოლო კავკასიის გზაზე—900 კაცამდე.

◆ **დათხოვნილი მოსამსახურენი.** გუშინდელ „კავკაზ“-ში დაბეჭდილია სია რკინის გზიდან დათხოვნილ მოსამსახურეებისა. ტფილისის პოლიცმეისტერი ამასთან აცხადებს, ვინც ამათგანი ტფილისელი არ არის, ერთის კვირის განმავლობაში უნდა წავიდეს იქ, სადაც მიწერილია; წინააღმდეგ შემთხვევაში ეტაპით გაიგზავნებაო.

◆ **საქონლის საწყობების გავსება.** ქუთაისის და ევლახის სადგურის საწყობები ისეა სავსე მოსულ საქონლით, რომ რკინის გზის გამგეობამ შესწყვიტა ამ სადგურებზე საქონლის მიღება. ქუთაისში ამას გარდა დუქნები თითქმის სულ გადამწვარია და საქონელი რომ მიიღონ, სად დააწყონ. ევლახში კიდევ თათარ-სომეხთა ხოცვა-ჟლეტაა.

◆ **მარგანეცის გადატანა.** მარგანეცის მწარმოებელთ ითხოვეს როგორც აქ, რკინის გზის სამართველოში, ისე პეტერბურგს სამინისტროში, რომ რაც შეიძლება მეტი ვაგონები დაეთმოთ მარგანეცის გადასატანათ ფოთში, რადგან იქ გემებია გაჩერებული. რკინის გზის გამგეობამ შეატყობინა, რომ ეხლა დღეში ასი ვაგონი იტვირთება და იგზავნება ფოთში, ამაზე მეტი ვაგონების დათმობა გზას არ შეუძლიან, რადგან არეულობისა და გაფიცვების გამო ყველა დიდრონი სადგური სავსეა საქონლით. ამას გარდა ჯარის დიდი მოძრაობაა მთელ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე. მაგრამ, თუ თვით მარგანეცის მწარმოებელნი შეთანხმდებიან, რომ ფოთის მუშებმა ღამითაც იმუშავონ და ვაგონები საჩქაროდ დასცალონ, მაშინ შეიძლება დღეში 150 ვაგონის დათმობაო.

◆ **განთავისუფლება.** ჩვენის გაზეთის თანამშრომელი ვ. .ბ ლორთქიფანიძე, რომელიც თვეზე მეტია დაპატიმრებული იყო, თავმდებობით უკვე გაანთავისუფლეს.

◆ **აღკრძალულ გაზეთების გამოსვლა.** როგორც გავიგეთ, „პატარა გაზეთს“ და „ნოვოე ობოზრენიეს“ აკრძალვას ახსნიან და გაზეთები მალე ისევ გამოვა. გამოვა აგრეთვე ამ ცოტა ხანში გაზეთი „ვოზროჟდენიე“ ახალის რედაქციით.

◆ **ორი კაცის მოკვლა.** ზესტაფონიდან გვატყობინებენ, შორაპნის მაზრის ს. არგვეთში 6 თებერვალს მოჰკლეს ტრიფონ და ნიკოლოზ ქაჯიაშვილები. ამ მკვლელობის ჩამდენი არის ცნობილ აფრასიონ მერკვილაძის რაზმი, რომელიც კარგა ხანია დათარეშობს შორაპნის მაზრაში. ამ ამბის გაგების შემდეგ ყვირილიდან გაუგზავნიათ ერთი სოტნა ყაზახი და ნახევარი როტა, სალდათი. სოფელი შიშის ზარმა მოიცვა, რადგან ყოველი ამგვარი საქმე დარბევით აწიოკებით და ცემატყეპით თავდება.

◆ **ქალაქის სკოლები ეროვნების მხრივ.** ქალაქის სამოსწავლო კომისიამ შემდეგ ნაირად დაჰყო ქალაქის სკოლები. ავლაბრის უბანი: 1. სომხების ვაჟთა სკოლა; 2. სომხების ქალთა სკოლა; 3. რუსების სკოლა და 4. ქართველების სკოლა. ვერის უბანი: 1. რუსისა; 2. ქართველებისა და სომხებისა პარალელურ განყოფილებით; 3. რუსებისა და 4. რუსების ქალთა სკოლა. ცენტრალური უბანი: 1. ამაღლების რუსთა სკოლა; 2. სოლოლაკის სომხეთა სკოლა; 3. პუშკინის მეორე სომხეთა სკოლა და 4. მამადავითის ქართველთა სკოლა. კუკია—ნაძალადევის უბანი: 1. სომხეთა სკოლა; 2. ქართველთა სკოლა; 3. რუსთა; 4. რუსთა, და 5. ნაძალადევის ქართველ-რუსთა. ჩუღურეთის უბანი: 1. რუსთა სკოლა. და ხარფუხის უბანში: 1. სომეხთა, ქართველთა და თათართა სკოლები.

◆ **ახალი ქართული გაზეთი.** მთავრობამ ნება დართო ექიმს ალექსანდრე დიასამიძეს გამოსცეს ტფილისში ქართულ ენაზე ყოველ-დღიური გაზეთი „შრომა“.

◆ **დეკანოზ ვოსტორგოვის გადაყენება.** დეკანოზი ვოსტორგოვი მხოლოდ ეხლა გადაუყენებიათ ოლქის მეთვალყურის თანამდებობიდან.

◆ **ვ. გუნიას ბენეფისი.** დღეს, 9 თებერვლისათვის, სახაზინო თეატრში დანიშნულია ბენეფისი ნიჭიერ არტისტის ვ. გუნიასი. წარმოდგენილი იქმნება ორი პიესა ავტორისა, ორივე ახალი. ერთი—„ორი გმირი“—ისტორიული დრამა გურულთა ცხოვრებიდან. მონაწილეობას იღებენ თვით მობენეფისე და ვლ. ალექსი-მესხიშვილი. წარმოდგენა დაიწყება ნაშუადღევის თორმეტ-ნახევარ საათზე.

◆ **ბერძნული გაზეთი.** როგორც ვწერდით ბ-ნ კორხანიდის ნება მიეცა გამოსცეს ბერძნული გაზეთი „პრომეთეოსი“. გაზეთის გამოსაცემად ივ. ბასტიანოვის მეთაურობით სდგება ამხანაგობა. გაზეთი გამოვა აპრილის პირველ რიცხვებში.

აღკრძალული პანაშვიდი. 6 თებერვალს ბაქოში ადგილობრივ მოსწავლეებს განუზრახავთ პანაშვიდის გადახდა დახოცილთა სულის მოსახსენებლად, მაგრამ ადგილობრივ გენერალ-გუბერნატორს ნება არ დაურთავს (ჰარაჯი).

◆ **მომრიგებელი შუამავლები.** სიღნაღის მაზრის მესამე განყოფილების მომრიგებელი შუამავალი შახმალიევი დაინიშნა ტფ. გუბერნატორის უფროსს საგანგებო საქმეთა მოხელედ. შახმალიევის ადგილზე თიანეთიდან გადაუყვანიათ თავ. ჯორჯაძე, ჯორჯაძის ადგილზე ამავე მაზრის შუამავალი ცისკარაშვილი; ცისკარაშვილის ადგილზე იმავე მაზრის შუამავალი თავ. დიმიტრი ჭავჭავაძე. ჭავჭავაძის ნაცვლად-კი დაინიშნა სიღნაღის მაზრის უფროსი იგნაციუსი. ახალ-ციხის მაზრის შუამავალი პავლოვი ბორჩალოში გადაიყვანეს. პავლოვის ადგილზე დანიშნეს დუშეთის მაზრის უფროსი ბაუმგარტენი.

◆ **შემცდარი ცნობები.** ტფილისში ახლად შემდგარ კონსტ.-დემ. პარტიაზე გუშინდელ №-ში ზოგი შემცდარი ცნობები დავბეჭდეთ: „ნოვ. ობოზრ.“-ს სარედაქციო კომიტეტში „დაშნაკცუტუნის“ წევრები არ იქნებიან, რადგან კ.-დ. პარტიასა და ამ პარტიას შორის ამგვარი და არც არავითარი შეთანხმება არ მომხდარა. კ.-დ. პარტიის კრებაზე 6-7 რუსი-კი არა ყოფილა არამედ 18. კრებაზედაც უმრავლესობას ხმოსნები არ შეადგენდნენ. სულ ყოფილა, 100-მდე კაცი, მათ შორის ხმოსანი—22 მხოლოდ. კრების გაგრძელება 22 თებერვალს-კი არ იქნება, არამედ 10-ს.

◆ **სასოფლო-სამეურნეო თანხა.** როგორც ოფიციალურ ცნობებიდანა სჩანს, გორის მაზრის ქვემო-ჭალის, კარალეთის, ტყვიავის, მერეთის, მეჯვრისხევის და ხურვალეთის სოფლის საზოგადოებებს ჰქონიათ სასოფლო-სამეურნეო თანხისა 59,362 მანეთი.

◆ **იარაღის პოვნა.** გაზ. „ჰარაჯ“-ს შუშიდან დეპეშით ატყობინებენ: 3 თებერვალს გენერალ გოლოშჩაპოვმა სოფ. ხანჯიანდში ერთი შენობა გაანადგურებინა. გვერდის შენობაც დაზიანდა. შემდეგ იპოვა 16 ბერდანა. ეს მესამე შემთხვევაა აქ. პირველად აღმოაჩინეს 15 ბერდანა, მეორედ 1 ბერდანა და რევოლვერები, ასე რომ ამ სოფელს არაფერი დარჩა თავის დასაცავად. იგივე გენერალი დაჰმუქრებია შუშელებს, მოგვეცით საეჭვო პირები და იარაღი, თორემ ხანჯიანდელების დღეს დაგაყენებთო.

მკვლელობა. როგორც ქუთაისიდან გვატყობინებენ, 7 იანვარს, შუაღამის მესამე საათზე, მოუკლავთ ქუჩაში კვიმსაძე.

◆ **გაზეთის შეჩერება.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ უსახსრობისა გამო შეაჩერა გაზეთ „კავკაზ. სამეურნეო გაზეთის“ გამოცემა.

◆ **სომხის სამღვდელოების შუამდგომლობა.** ტფილისის სომხის სამღვდელოებას აზრადა აქვს შუამდგომლობა აღძრას კათალიკოსის წინაშე, რომ დაქვრივებულ მღვდლებს ნება მიეცეთ ცოლები შეირთონ ხოლმე. ამ საგნის გამო ტფილისში სამღვდელოების რამდენიმე კრება მოხდა (ჰარაჯი).

◆ **გერმანული გაზეთი.** ტფილისელ გერმანელებს განუზრახავთ გერმანულ გაზეთის გამოცემა ამ საქმის ინიციატორი ქართველ საზოგადოებაში კარგად ცნობილი არტურ ლეისტია.

◆ **პოდპ. ჩიქოვანის შესახებ.** როგორც „კავ.“ გადმოგვცემს, ტყუილი გამოდგა ხმა სამეგრელოში გაგზავნილ ჯარის უფროსის პოდპოლკ. ჩიქოვანის დაჭრის შესახებ.

◆ ამას წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო: „მიხეილის პროსპექტზე (№ 47) ძირის სართულში იპოვნეს უსულდგმულო მკვდარი გაჭრილი გვამი მცხეთის ბოქაულად ნამყოფის თავ. თუმანიშვილის მეუღლის მარიამისა. მკვლელის გზა-კვალს ვერ მიაგნეს“. როგორც ეხლა გავიგეთ, მოჰკლეს ნატალია და არა მარიამ თუმანიშვილი, ამასთან ველიკი კნიაზის ქუჩაზე და არა მიხეილის პროსპექტზე. მოკლული არც მცხეთის ბოქაულად ნამყოფის მეუღლე იყო.

◆ სიღნაღის მაზრის ასანურის და მაშნარის სოფლის საზოგადოებებს შუამდგომლობა აღუძრავთ, მიეცეთ სასოფლო-სამეურნეო თანხიდან სესხი წყაროს წყლის გასაყვანად. ასანურის საზოგადოებას ამ თანხისა ჰქონია 2190 მან., მაშნაარისას—4689 მ.

◆ სად. მუხიანი. 7 თებერვალს, ნაშუადღევის 3½ საათზედ, საქონლის მატარებელმა № 157 ორივე ფეხი მოსწყვიტა დარაჯს გრიგორი ყობაზარს. 3 იანვარს ტფილისის სადგურზედ ლიანდაგზე ნახეს თავ დაჭრილი მთავარ სახელოსნოების დარაჯი ბონდარევი.

◆ ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი და გამგეობის წევრნი მთხოვნელებს იღებენ დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე. ფულის მიღება ქალაქის კასაში ნაშუადღევის 2 საათამდე შეიძლება.

◆ ტფილისის საბალოსნო სასწავლებლის შესანახად, ხარჯთ-აღრიცხვით, საჭიროა წელს 21,843 მან. 20 კაპ. შემოსავალი კი მოსალოდნელია მხოლოდ 19,095 მან. 50 კაპ.

შეცდომის გასწორება. „ცნ. ფ.“-ს გუშინდელ (8 თებერვლის) ნომერში შემდეგი შეცდომაა: მეორე მეთაურ წერილში მე-19 სტრიქონში ქვემოდან დაბეჭდილია: „ამისთანა მდგომარეობამ გამოიყვანა ყველა პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზზე და თუ ჯერ არ შეუქმნია, ჰქმნის მაინც რუსეთის მოქალაქეს“. უნდა იყოს: „ჰქმნის რუსეთის მოქალაქეს“.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 7 თებერვალი. გრაფ ვიტტემ წარუდგინა ხელმწიფე იმპერატორს ვრცელი მემორანდუმი პოლიტიკურ ტუსაღთა დახვრეტის შესახებ სასამართლოში საქმის გაურჩევლად. ხელმწიფემ წაიკითხა და უკმაყოფილება გამოაცხადა; სთქვა, ამიერიდან ასეთი უკანონობა უნდა მოისპოს, საჭიროა საქმეები სასამართლოში ირჩეოდესო.

◆ მინისტრთა შორის პრინციპიალური უთანხმოება გამწვავდა; უთანხმოება შეეხება რუსეთის თანამედროვე მდგომარეობას. სამინისტროს „მემარჯვენე“ წევრები იმარჯვებენ, „მემარცხენენი“ გადიან.

◆ გაზეთების სიტყვით, ფინლანდიაში მყოფ რუსეთის ჯარების უფროსმა, გენერალმა ზალცამ, სთქვა, ფინლანდიის ავტონომია დროებითია და ხიშტებით წავართმევთო.

პრესსა

კონსტიტუციონალ-დემოკრატებს ყველა საკითხის შესახებ შუა ხაზზე დადგომა ჰსურთ, ისე რომ არც მწვადი დასწვან და არც შამფური. ეს იმათის პარტიის სტიქიაა. რევოლიუცია, მაგალითად, ძალიან მოსწონთ, მაგრამ „რევოლიუციები“ ე. ი. აჯანყება ჭკუაში არ მოსდით. დემოკრატიზმით მოხიბლული არიან, მაგრამ თავით ბოლომდე დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობილება ე. ი. დემოკრატიული რესპუბლიკა კი რუსეთისთვის სისულელედ მიაჩნიათ. საყოველთაო საარჩევნო უფლებას ძალიან მედგრად იცავენ, მაგრამ იმ საარჩევნო კანონის წინააღმდეგნი არიან, რომელიც სამ ოთხ სართულიან სისტემას აკანონებს. სწორედ ასეთივე პოზიცია უჭირავს კონსტიტუციონალ-დემოკრატთა პარტიას ავტონომიურ თვითმმართველობის შესახებ. აი რასა სწერს ამ საგნის შესახებ ბ-ნი კოტლიარევსკი „პოლიარნაია ზვეზდაში“.

> როდესაც ცენტრალიზმის დამცველნი ერთის მხრივ და ფედერალიზმის მომხრენი მეორის მხრივ გვეუბნებიან, რახან პოლონეთისთვის აპირობთ ავტონომიის შემოღებას, ბოლომდე დაიცავით პრინციპი და მოითხოვეთ ამასთანავე ლიტვის, მალოროსსიის, საქართველოს და სხვების ავტონომიაო, ამ სიტყვას ცენტრალისტებისთვის პოლემიკურ ხრიკის ხასიათი აქვს, ხოლო ფედერალისტებისთვის კი საკითხის მეტად მარტივ წარმოდგენას აღნიშნავს. კონსტიტუციონალ-დემოკრატების პროგრამმა მომხრეა მომწიფებულ საჭიროებათა დაკმაყოფილების ნიადაგზე; ამ პროგრამით სამოქალაქო თავისუფლების და წესიერ წარმომადგენლობის შემოღების შემდეგ გახსნილ უნდა იქმნას... მთელ რუსეთის სახელმწიფოსთვის კანონიერი გზა ადგილობრივ ავტონომიების დასამყარებლად.
>
> ...სახელმწიფო უძლობა, რომელიც ამოდენა ხანს აწუხებდა და აწვალებდა ხალხს, შესუსტდა,—იმისი ავტორიტეტი შეირყა. ადვილად გასაგებია, რომ ყველამ თავის ინტერესებისთვის გამოყენება მოისურვა ამ სისუსტისა და გაიღვიძა ავტონომიის მოპოვების სურვილმა განცხადებითის წესით. განცხოველებული ნაციონალური შეგნება მეცადინეობს თავისი ახალი სურვილი შესაფერის ფორმებით უზრუნველ ჰყოს და გამოაცალკევოს თითოეული ოლქი რუსეთის სხვა ნაწილებისაგან: თითქოს ეშინიანთ დრო დაჰკარგონ.
>
> ეს სიჩქარე ნაციონალურ პარტიებისა ადვილად გასაგებია, მაგრამ საეჭვოა, რომ იგი მათის საქმისთვის სასარგებლო იყოს...

ამის შემდეგ ბ-ნი კოტლიარევსკი ისევ იმას იმეორებს, რომ ავტონომიების საკითხს სახელმწიფო სათათბირო გადასწყვეტს და წინასწარ ამის მოთხოვნა არც საჭიროა, არც სასარგებლოვო. ამ გვარი ლოღიკით კონსტიტუციონალ-დემოკრატებს შეუძლიათ მთლად წაშალონ თავისი პროგრამმა და ჩასწერონ მხოლოდ ერთი ფრაზა: კანონმდებლობა გადასწყვეტს ყველა საკითხსო. საქმე მხოლოდ ის არის ვის დააკმაყოფილებენ ასეთის ტაქტიკით? ცხადია, მხოლოდ იმათ, ვისაც გარკვეულ იდეალების ნაცვლად ლიბერალურ ფრაზეოლოგიის წამოყენება უყვართ და ამ ფრაზეოლოგიით თავის ნამდვილ მისწრაფების დამალვას სცდილობენ.

რუსეთი

რას სწერენ ფრანგული გაზეთები. „მატენ“-ს ვარშავიდან ატყობინებენ: აფეთქების დროს დაჭრილი ორი ჟანდარმი საავადმყოფოში გარდაიცვალნენ. უცნობ პირთა შემდგარმა ბრბომ სახელმწიფო არყის საწყობი გაანადგურა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ქალაქს მოსთხოვა 15000 მანეთი პოლიციის მოხელეთა დასაჯილდოვებლად. ქვეით ჯარის 25 სალდათი მედალით დაასაჩუქრეს სარევოლიუციო პროკლამაციების დამტარებელთა შეპყრობისათვის. მოსკოვში აღმოაჩინეს შეთქმულება. აზრადა ჰქონდათ გენერალი დუბასოვი ვოგზალზე მოეკლათ. პოლიცია ყოველ დღე აჩენს ყუმბარებსა და იარაღს: გუშინ საღამოზე იპოვნეს დიდი ყუთი დინამიტითა, რევოლვერებითა და პატრონებით სავსე.

საკუთარი კორესპონდენტი გასტონ ტურუ ატყობინებს გაზეთს: ფინლიანდიიდან მოსული ცნობები აშკარად ხდიან იმ გარემოებას, რომ ეს ქვეყანა დიდს მზადებაშია საბრძოლველად. მთავრობაც ემზადება და საზღვარზე ჰგზავნის დიდ ჯარს. ფინლიანდიიდან პეტერბურგში მიმავალთ ჟანდარმები სჩხრეკავენ.

პროვინციაში მოხელეთა კვლა გახშირდა. გუშინ პენზაში, დილის 11 საათზე, რევოლვერით მოჰკლეს პოლიცმეისტერი. ქუთაისში დასჭრეს ორის ტყვიით ზუგდიდის მაზრის უფროსი. ტფილისში უბნის ზედამხედველი გახდა რევოლიუციონერთა მსხვერპლად. აგრარული მოძრაობა ძლიერდება—დნეპრის სათავეში აჯანყებულმა გლეხებმა მთლად გაანადგურეს 66 მამული, კურსკში—127 მემამულე, ორიოლში—87. მთავრობა ყოველ ღონესა ხმარობს აჯანყებულთა წინააღმდეგ. სხვათა შორის მოხელეებს (ჩინოვნიკებს) აუკრძალა პურის დარიგება იქ, სადაც აჯანყებული ხალხია.

ფრანგულ გაზეთ „ტან“-ს ატყობინებენ: ებრაელთა საკითხი რამდენჯერმე განიხილა მინისტრთა საბჭომ. მინისტრებმა კუტლერმა, ტიმირიაზევმა და ზოგმა სხვამაც ის აზრი გამოსთქვეს, რომ საჭიროა ეხლავე მოსპონ ებრაელთა შემავიწროებელი კანონები. დურნოვო და აკიმოვი წინააღმდეგნი არიან.

ამავე გაზეთს პეტერბურგიდან სწერენ: საკითხი იმის შესახებ, რომ პროვინციაში მოისპოს სამხედრო და საალყო წესები,

---

ბელია. ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ ისეთ წესს, ისეთ საშუალებას, რომლის შემწეობითაც დედამიწაზე კერძო საკუთრება შესაძლებელი გახდება. საზოგადოდ, უმრავლესობა იმ აზრისაა, ვინც მიწა დაიმუშავა იმას უნდა ჰქონდეს კანონიერი უფლება ამ მიწაზეო. ყველას, ვინც ახოს გაკაფავს ადგილს დაიმუშავებს, საკუთრად უნდა მიეცესო. მაგრამ თუ კი ეს უფლება საეჭვო და საკამათოა, რა ნაირის მოსაზრებით შეიძლება იმის გამართლება? წამიერათ ყური დავუგდოთ ერთ საგულისხმიერო საუბარს. „ძმაო ჩემო! ეუბნება ვიღაც უცნობი კაცი ტყის კიდეზე მცხოვრებ მოახალშენე გლეხს, რომელიც თავის ქოხის კარებთან ზის და ჩიბუხს აბოლებს: რა უფლებით დაეპატრონეთ თქვენ ამ ახოს, რომელიც გაგიკაფავთ, შეგიღობიათ და ზედ ხის სახლი აგიშენებიათ“.

„რა უფლებით?... იმიტომ ვფლობ ამ ადგილს, რომ წინააღმდეგი არავინ ამომიჩნია. სწორედ იმდენი უფლება მქონდა ამ ადგილზე დავმდგარიყავი, რამდენიც სხვებს. მას შემდეგ-კი, რაც მე ეს ტყე გავკაფე, ადგილი დავხანი და დავთესე, თქვენზე და სხვებზე უფრო მე შევიქენი ამ ადგილის მესაკუთრე და მსურს ჩემ უფლებაში დავრჩეს“.

„ასე ამბობთ ყველანი, მაგრამ ამნაირად ვერ დაამტკიცებთ თქვენს უფლებას. როცა პირველად მობძანდით ამ ალაგას, დახვდათ აქ ტყე, ბალახით მოფენილი ვაკე და ბუჩქნარი. თქვენ გასწმინდეთ ეს ადგილი და წინანდელ მცენარეების მაგიერ მოგყავთ აქ პური, სიმინდი და თამბაქო. მხოლოდ ერთი რამ არის ჩემთვის გაუგებარი და ამიხსენით, თუ ღმერთი გწამთ: რანაირად მოხდა რომ თქვენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ადგილზე წინანდელი მცენარეები მოსპეთ და სამაგიეროდ ახლები აღმოაცენეთ, სამუდამოდ ამ მიწის პატრონი გახდით“.

„ამაზე გიპასუხებთ, რომ იმ მცენარეებში რომელიც წინად იზრდებოდა ამ ალაგას, ზოგს სულ მცირე სარგებლობა მოჰქონდა, ზოგიც სრულებით უსარგებლო იყო. მე-კი ისე დავიმუშავე მიწა, რომ ახლა საჭმელად გამოსადეგი მცენარეები მოჰყავს, ჭირნახული, რომელიც ადამიანს სიცოცხლეს და კეთილდღეობას ჰმატებს“.

„მართალს ბძანებთ, მაგრამ ამით მაინც ვერ ამტკიცებთ, რომ დედამიწის ზურგის ის ნაწილი, რომელიც დაიმუშავეთ, ამ გზით თქვენ საკუთრებად გადაიქცა. მართლაც რას შვრებოდით თქვენ? გუთნითა და ნიჩბით რამდენიმე გოჯის სიღრმეზე დედამიწა გადააბრუნეთ, ზედ თესლი მოაბნიეთ და შეჰკრიბეთ ის მოსავალი, რომელიც აღმოაცენა დედამიწამ მზის, წვიმის და ჰაერის შემწეობით. ამიხსენით ახლა, თუ შეიძლება, ამ თქვენმა მოქმედებამ რა სასწაულის შემწეობით გაგხადათ ერთად-ერთ მესაკუთრედ იმ უზარმაზარის ნივთიერებისა, რომლის ზედა-პირია მხოლოდ თქვენგან დამუშავებული მიწა სიღრმე-კი დედამიწის შუა-გულამდის ჩადის. რანაირად გადააქცია ამ თქვენმა შრომამ თქვენ და თქვენი შთამომავლობის საუკუნო საკუთრებად მთელი ის მასალა, რომელიც ამ მიწაშია დაცული“?

„კარგი და, ჩემი თუ არაა, მაშ ვისია ეს ადგილი? მე ხომ არავისი უფლება არ დამირღვევია. როცა პირველად მდინარე მისისიპი გადმოვიარე და ამ ალაგას მოველ, აქ უდაბური ადგილები და ტყეები დამხვდა. სხვა ვინმეც რომ მოსულიყო ამ ალაგას, ახო გაეკეთებინა, მიწა გაეწმინდა და დამდგარიყო ამ ტყეში, სწორედ იმდენივე უფლება ექნებოდა, რამდენიც დღეს მე მაქვს. ისეთი არაფერი არ ჩამიდენია, რისი უფლებაც არა ჰქონდა ყველას, ვინც ჩემზე ადრე მოვიდოდა ამ ალაგას. სანამ ეს ადგილი უდაბური იყო, იგი ყველას ეკუთვნოდა; ახლა-კი ჩემ საკუთრებად იმიტომ გახდა, რომ პირველად მე აღმოვაჩინე და დავიმუშავე ეს მიწა“.

„თქვენ მართალი ბძანეთ, რომ ეს ადგილი, სანამ უდაბური იყო, ყველას ეკუთვნოდაო. ხოლო მოვალე ვარ დაგიმტკიცოთ, რომ დღესაც იგი ყველას ეკუთვნის და მთელი ეს, თქვენი მეურნეობა ვერ მოსპობს ამ ადგილზე საყოველთაო უფლებას. თქვენ ნება გაქვთ ეს ადგილი დახნათ, დაფარცხოთ, პური დათესოთ და მოსავალი აიღოთ. შეგიძლიანთ, რამდენიც გნებავთ, იმდენი აბრუნოთ ეს მიწა; მაგრამ მაინც მთელი ეს შრომა ვერ გახდის თქვენ საკუთრებად იმას, რაც წინად თქვენი არა ყოფილა. ნება მომეცით, ჩემი აზრი განვიმარტოთ. წარმოიდგინეთ, რომ მგზავრობის დროს ერთ ცარიელ სახლს მიაგენით, რომელიც, თუმც ნახევრად დანგრეულია, მაგრამ მაინც მოგწონთ. მოისურვეთ ამ სახლში დადგომა და ბევრი დრო მოანდომეთ და შრომა გასწიეთ იმის შეკეთებას — შეღებეთ, შეათეთრეთ, ბოძები შეუდგით; ბევრი ფული დახარჯეთ და სახლი საცხოვრებლად მოაწყვეთ. წარმოადგინეთ ახლა, რომ ერთ უბედურ დღეს თქვენ თვალთა წინაშე გამოცხადდა ვიღაც უცნობი ადამიანი, რომელსაც ეს სახლი ანდერძის ძალით დარჩა და დღეს ხელთა აქვს ყველა საჭირო ქაღალდი ამ თავის უფლების დასამკვიდრებლად. რა ბედი ეწევა მაშინ მთელ თქვენ საოჯახო მოწყობილებას. ნუ თუ თქვენ ნაშრომ-ნაამაგარის შემწეობით შეიძლებთ სერიოზულად დაამტკიცოთ თქვენი უფლება ამ სახლის შესახებ? ნუ თუ ამნაირად დაარღვევთ სახლის ძველ მესაკუთრის უფლებას?“

„მართალს ბრძანებთ: არასოდეს.“

„მაშ აქედან ცხადია, რომ ამ ადგილზედაც მთელმა თქვენმა ნაშრომმა არ მოგცათ რაიმე სერიოზული უფლება, რათა დედამიწის ამ კუთხეს დაეპატრონოთ. განა დღესავით ნათელი არ არის, რომ თქვენმა მეცადინეობამ ამ ადგილის პირველი მესაკუთრის—კაცობრიობის უფლება ვერ გააქარწყლა. ეს ქვეყანა ღმერთმა მთელ კაცობრიობას უანდერძა. ადამიანები ყველანი საერთოდ და სხვათა შორის თქვენც ღვთის მემკვიდრენი არიან, ამიტომ, როცა თქვენ დედამიწის ამა თუ იმ კუთხეში სახლდებით, მიწას დაიმუშავებთ და მოსავალს მოიყვანთ, ამ გზით დიაღაც ვერ გახდებით ამ ადგილის სრულ მესაკუთრედ. რომ მიისაკუთროთ კიდეც, მიწის კანონიერ მესაკუთრეს—საზოგადოებას სრული უფლება აქვს, როდესაც ისურვებს, აგყაროს ამ ადგილიდან.“

„ძალიან კეთილი. მაგრამ, რასაკვირველია, ისე არ განმდევნით ამ ადგილიდან, რომ არ მიზღოთ ის ზედმეტი საკმაოდ დიდი ფასი, ის ღირებულება, რომელიც მე ამ მიწას შევძინე იმით, რომ უდაბური ადგილი მოსავლის მომცემ ყანად გადავაქციე. მშრალზე ხომ არ დამტოვებთ, არ წამართმევთ ჩემ ხანგრძლივ ღვაწლის ნაყოფს, ფასს იმ შრომისას, რომელიც მე გავერანებულ ადგილის გასაუმჯობესებლად დავხარჯე.“

„ამას არავინ წაგართმევთ, რასაკვირველია. როგორც იმ შემთხვევაში, როცა სრულს სახლს დაეპატრონეთ და შეაკეთეთ, სახლის მესაკუთრე ვალდებულია დაგიბრუნოთ სახლის შეკეთებაზე მთელი თქვენი დანახარჯი, ისე აქაც საზოგადოება, რომელიც ჩამოგართმევს ადგილს, ვალდებულია თქვენი შრომის ნაყოფი დაგიბრუნოს. ის ზედ-მეტი ფასი, რომელიც თქვენმა შრომამ ამ ადგილს შესძინა, თქვენი სამართლიანი საკუთრებაა. ცხადია, საზოგადოების ნება-დაურთველადაც რომ შეაკეთოთ იმისი კუთვნილი ადგილი, იგი მაინც ვალდებულია გიზღოთ შრომის ფასი. მაგრამ როცა საზოგადოება სამართლიანად სცნობს, რომ თქვენ ეს ფული გიზღოთ, ეს იმას არა ნიშნავს, რომ ამ ადგილის შესახებ თქვენ უფლებასაც სამართლიანად სცნობდეს. უეჭველია, ნება გაქვთ მოითხოვოთ, რომ თქვენი დანახარჯი გიზღონ; მაგრამ ამავე დროს ვერაფრის გზით, ვერავითარ საშუალებით ან მოქმედებით ვერ გახდით ამ ერთ ნაჭერ მიწას თქვენ კერძო საკუთრებად“.

(დასასრული იქნება).

რამდენჯერმე განიხილეს მინისტრებმა და ვერ გადასწყვიტეს. მოსკოვში სამხედრო წესის მოსპობის წინააღმდეგი დუბასოვია. ამის გამო პოლიტიკური მდგომარეობა პროვინციაში არაფრით შეცვლილა. ლიბერალურ წრეების აზრით, ასეთ მდგომარეობით უნდათ ნიადაგი მოამზადონ, რომ სახელმწიფო საბჭოში კონსერვატორები გაჰგზავნოს ხალხმა.

პეტერბურგიდანვე ატყობინებენ: ნამდვილ წყაროდან შევიტყეთ, რომ სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა შემოდგომაზე ადრე ვერ მოხერხდება. მინისტრთა საბჭოში უთანხმოებაა. სამინისტროს ლიბერალური ნაწილი, ტიმირიაზევის მეთაურობით, წინააღმდეგობას უწევს ვიტტესა და დურნოვოს.

აფიცრების დაჯილდოვება. მოსკოვის გარნიზონის აფიცრები, რომელნიც დეკემბრის რევოლიუციის წინააღმდეგ მოქმედებდნენ მოსკოვში, „ნარ. გაზ.“-ის სიტყვით დაწვრილებით ანგარიშს წარადგენენ თავიანთ მოქმედების შესახებ. ვისაც რითმე „თავი უჩენია“, დასაჩუქრებული იქნება...

პარტიათა შორის. მოსკოვში მოხდარა დიდი არა პარტიული კრება ამომრჩეველთა. ამ კრებაზე სხვა პარტიების წარმომადგენელთა რიცხვს სოციალ-დემოკრატები სჭარბობენ. განიხილეს საკითხი სახელმწიფო სათათბიროსთან დამოკიდებულების შესახებ. კრებაზე უთანხმოება ასტყდა ეგრედ წოდებულ „უმრავლესობასა“ და „უმცირესობას“ შორის. პირველ ჯგუფის ორატორები ამბობდნენ, რომ სათათბიროს არჩევნებით უნდა ვისარგებლოთ პარტიულ პროპაგანდისათვის, მხოლოდ წარმომადგენელნი სათათბიროში არ უნდა გავგზავნოთ, პირიქით ყოველი საშუალება უნდა ვიხმაროთ, რომ ხელი შევუშალოთ. „უმცირესობის“ წარმომადგენლები კი ამბობდნენ, რომ ყოველივე ტერრორისტული აქტი არ ეთანხმება სოციალდემოკრატიულ მოძღვრებას. ამ გვარ ზომებით მხოლოდ ხალხს დავაშინებთ. ხალხი შიშის გავლენის ქვეშ შეიძლება ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ჯგუფებს მიემხროს. („ნაშა ჟიზნი“).

მუშათა შორის. გაზ. „ნაშა ჟიზ“-ს მიუღია შემდეგი წერილი: „გემების ამშენებელი და მექანიკურ ქარხნების უადგილოდ დარჩენილი მუშები, რომელთაც მოესპოთ სამუშაო ამ უკანასკნელ გაფიცვის დროს, რიცხვით 1000 კაცი, შეიკრიბა ამ წლის 27 იანვარს, განიხილა თავისი მდგომარეობა და მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოეთხოვოს ყველა უფროსს და ხელოსანს დაუყოვნებლივ მიიღონ უკან მუშები; თუ უარს იტყვიან, მაშინ თითონაც დაანებონ თავი ადგილებს“.

რეპრესსიები. პენზაში, საპყრობილეში ჯდომის შემდეგ ტობოლის გუბერნიაში გაგზავნეს 4 წლით სრულიად უმიზეზოდ რვა კაცი.

მოსკოვში, ფიდლერის სასწავლებელში, სხვათა შორის, დაუჭერიათ ექიმი კოტიკოვი, რომელიც სანიტარულ რაზმის უფროსად იყო. კოტიკოვი ეხლაც დაჭერილია და ბუტირკის საპყრობილეში ზის. აქამდის იმასთან სანახავად არავის არ უშვებენ. კოტიკს შემდეგს აბრალებენ: მან თურმე აფიცერს მიჰმართა და სთხოვა, ძმის სისხლს ნუ დაჰღვრითო. საკმაო ბრალდებაა სასტიკ სასჯელისათვის!..

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგ შენიშვნას:

თქვენის გაზეთის მე-2994 ნომერში დასტამბული იყო ახალ ამბად, რომ გურიაში, სოფელ ბახვში დასჭრეს მელქისედეკ მახარაძეო. რადგან ამ ამბავმა ჩემი მეგობრები და ნათესავები შეაწუხა, ამისათვის ვეშურები ვაუწყო ნაცნობებს, რომ არა თუ არავის არ განუზრახავს ჩემი დაჭრა, არამედ იმ დროს, როდესაც ეს მოჰხდა, მე გურიაში სრულიადაც არა ვყოფილვარ და ჩემის მტრების სამწუხაროდ დღესაც ძლიერ კარგად გახლავარ. ძლიერ მაკვირვებს აგრეთვე ის გარემოება, რომ ვის რად დასჭირდა ასეთ ტყუილის შეთხზვა, რითაც შეცდომაში შეიყვანა პატივცემული რედაქცია, მაგრამ ნათქვამია: „ავი კაცი აღდგომასაც ავიაო“... მეჭორეს ალბად ჩემთან პირადი ანგარიში ჰქონია, და პირდაპირ რომ ვერა დამაკლო-რა, მიჰმართა ჭორებს, და ამითი მაინც უნდოდა ჩემთვის ჩირქი მოეცხო, მაგრამ მოტყუვდა ანგარიშში: მე გამომიყვანა დაჭრილად სოფ. ბახვში სწორედ იმ დროს, როდესაც გურიაში მე სრულიადაც არ ვყოფილვარ. როგორც გადმომცეს, ჯერ ტფილისში გაავრცელა ათასი ცუდი ხმა ჩემზე, შემდეგ ჩავიდა გურიაში და იქაც უარესები ილაპარაკა, მაგრამ მე ეს არ მიკვირს... ვისაც ცოტათი მაინც ადამიანური გრძნობა შერჩენია, იმას გული სიბრალულით აევსებოდა და მწუხარების ზეწარში გაეხვეოდა იმ საზარელი ამბების გაგონებით, რაც შედეგად მოჰყვა დასავლეთ საქართველოსკენ ჯარის გამგზავრებას. მეტადრე ჩვენ, ტფილისში მცხოვრებ დასავლეთ საქართველოს შვილებს, გული ბოღმით აგვივსო და თავზარი დაგვცა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ნაწილის დარბევისა და აკლების ამბავმა და შუა კაცების პირით კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე შესაფერი შუამდგომლობაც აღვძარით. რათა ადგილობრივად მიგვეღო ზომები, მე და მისიონერი თ. მელქისედეკ ნაკაშიძე 22 იანვარს ტფილისიდან გავემგზავრეთ ქ. ფოთში და ყ-დ სამღვდელო გურია-მეგრელიის ეპისკოპოზს ვსთხოვეთ, შუამდგომლობა გაეწია მთავრობასა და ხალხს შორის. ყ-დ სამღვდელომ ჩვენს თხოვნაზე თანხმობა გამოაცხადა და შესაფერი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა ქუთაისის გენ-ალ-გუბერნატორს ბ-ნ ალიხანოვ-ავარსკის და თან შეგვპირდა, 24 იანვარს ბათუმში ჩამოვალ და იქიდან ოზურგეთში წავალო. ბ-ნი ნაკაშიძე ოზურგეთში წავიდა, რათა ხალხი მოემზადებინა ეპისკოპოზის დასახვედრად, მე-კი ბათუმში წავედი და იქ ველოდებოდი ეპისკოპოზის გამოვლას. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ 25 იანვრისთვის იყო დანიშნული დრო მოთხოვნილობების დაკმაყოფილებისა. უკანასკნელ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო სისხლის ღვრა მთელ ოზურგეთის მაზრაში. მაგრამ ხალხის მტერმა იპოვნა მარჯვე დრო და ჩვენ მიერ გაწყობილი საქმე უკუღმა დაატრიალა. 24 იანვარს, როდესაც, ყ-დ სამღვდელო ემზადებოდა ფოთიდან წამოსასვლელად, უეცრად მიიღო დეპეშა ოზურგეთიდან (ვითომ მისიონერი ნაკაშიძე ატყობინებდეს ეპისკოპოზს), რომ თქვენი ოზურგეთში მოსვლა მავნებელი იქნება და ნუღარ მოდიხართო. ეპისკოპოზს მართლა ნაკაშიძის დეპეშა ეგონა,—რა იცოდა, თუ მეჭორეს მოხერხებული ოინები იყო, დაბრუნდა, აღარ წამოვიდა. როგორც სჩანს, ყალბი ტელეგრამა ეპისკოპოსთან უნდა იყოს გაგზავნილი ისევ იმ პირისაგან, ვინც მე ცუდი ხმები დამიყარა როგორც ტფილისში, ისე გურიაში, რადგან იცოდა, როგორც ზევით მოვიხსენიე, რა საქმისთვისაც ვიყავი წასული. ჩემს შრომას რომ ნაყოფი არ გამოეღო და ფუჭად ჩაევლო და ჩემი ავტორიტეტი ხალხში გაეთახსირებინა, აქ ეს ტყუილი გაავრცელა და იქ ის ყალბი ტელეგრამა გაგვიგზავნა, მე დარწმუნებული ვარ ეპისკოპოსი რომ თავის დროზე ოზურგეთში მოსულიყო, ის 102 სახლი, რომელიც ცეცხლმა იმსხვერპლა, გადარჩებოდა. ერთის სიტყვით, ხსენებულმა მეჭორემ აღგზნებულ ცეცხლის გაქრობის ნაცვლად ნავთი დაგვისხა, მაგრამ მიუხედავად მტრების ასეთ ოინებისა, მისიონერი ბ-ნი ნაკაშიძე ქუთაისში გაიწვია ბ. ალიხანოვ-ავარსკიმ. საქმის ვითარების ახსნის შემდეგ ის ჯარი, რომელიც ღ. ჩოხატაურისკენ იყო წასული, ტელეგრამით იქმნა დაბრუნებული ოზურგეთში და ჯერჯერობით სოფლები განსაცდელს ასცდნენ.

მელქისედეკ მახარაძე

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

7 თებერვალი

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია“ იუწყება, კუტლერისა და ტიმირიაზევს გარდა სამსახურიდან გადიან ნემეშაევი და ფილოსოფოვი.

„სლოვო“-ს გაუგონია, სამსახურიდან გადაყენება ითხოვა მინისტრის ამხანაგმა ბუტოლოვმა.

„რუსი“-ი იუწყება, შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამი მილიონი მან. მიიღო ცხენოსან-პოლიციელთა დარაჯების გასაძლიერებლად.

მოსკოვი, 7 თებერვალი. დასრულდა სავაჭრო-სამრეწველო პარტიის დელეგატთა კრება.

ვენა. დეპუტატთა პალატის გასაღები შინაგან საქმეთა მინისტრს ჩააბარეს. წესიერება არსად არ დარღვეულა.

ლონდონი. კემპბელ ბანერმანმა განაცხადა პარლამენტში, მაროკოს კონფერენციის მუშაობა ნელის ნაბიჯით მიიწევს, მაგრამ, საერთოდ, კარგი პირი უჩანს. ინგლისი მხარს უჭერს საფრანგეთს ისე, რომ სხვა სახელმწიფოების ინტერესები არ დაირღვეს.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს აზრი ქალაქის უძრავ ქონებაზე გადასახადის გაწერის შესახებ 1906 წ. დამტკიცებულ იქნა უმაღლესად. სულ ყველა გუბერნიებსა და ოლქებზე გაწერილი გადასახადი უთანასწორდება 12,957,000 მ. აქედან თერგის ოლქზე მოდის 50,000, ყუბანისაზე—178,000, ერევნის გუბერ.—38,000, ქუთაისისაზე—24,000, ბათუმისაზე 56,000, სოხუმის ოლქზე—4,000, განჯის გუბერნიაზე—38,000, ბაქოსაზე—130,000, ყარსის ოლქზე 9,000, დაღესტნისაზე—13,000, ზაქათალისაზე—1,000 და ჩერნომორსკი გუბ.—8,000 მ.

პეტერბურგი. სენატმა განმარტა, არ შეიძლება კერძო საჩივრის აღძვრა საქმის გარჩევამდე სამოსამართლო პალატის დადგენილებაზე შესახებ გაზეთის შეჩერებისა.

ადესა. დაატუსაღეს ანარქისტ-კომუნისტთა ბელადები, როცა ესენი ფულს სტყუებდნენ ბომზე მაღაზიას.

ბელოსტოკი, 7 თებერვალი. ვარშავიდან მომავალ მატარებელში დაიჭირეს ერთი დიდი ბარგი, რომელშიაც აღმოჩნდა აუარებელი არალეგალური ლიტერატურა.

მოსკოვი. რუსულის გაზეთების ცნობა, ვითომც დუბასოვი თანამდებობას ტოვებდეს,—სამაზრო ერობის ზოგიერთი ექიმი თავს ანებებს სამსახურს მცხოვრებლებთან შეტაკების გამო. საქმე იქამდისინ მივიდა, რომ ექიმები იძულებული გახდნენ სარდაფში შეეფარებინათ თავი ბრბოსაგან.

რეველი. გაქცეულ ვექილს ტერმანტსა და ქალაქის თავის ამხანაგს პიატსს საველე სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს დამნაშავეთა დაუსწრებლად.

სევასტოპოლი, 7 თებერვალი. შეიარაღებული მძარცველები დაეცნენ ღიკოვის მაღაზიას. თავდამსხმელნი ყველანი გაიქცნენ გარდა ერთისა, რომელიც დაიჭირეს.

ბახმუტი, 7 თებერვალი. სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე აუერბახის მაღაროების მუშებში არეულობისა და ერთის ტუსაღთა როტაში გაგზავნა გადაუწყვიტა 2 წლით, 12-ს ერთის წლით, 4-ს 8 თვის ციხე, დანარჩენები გაამართლა.

ლოძი. ბიდერმანის ფაბრიკაში განახლდა მუშაობა. მუშებთან მორიგება მოხდა.

კიევი, 7 თებერვალი. რადგანაც უნივერსიტეტში თავისუფალი ადგილი აღარაა, ამიტომ თხოვნები მიიღება ფილოლოგიურ ფაკულტეტზე მხოლოდ.

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

6 თებერვალი

პეტერბურგი, 6 თებერვალი. უმაღლესის ბრძანებით უნდა შეიცვალოს სამოსამართლო ნაწილის მდგომარეობა აღმოსავლეთის განაპირა მხარეებში. სახელმწიფო საბჭოს სტატს-სეკრეტრის თანაშემწე გრაფი ბობრინსკი დაინიშნა პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად.

ბუდაპეშტი. მაგნატების პალატის შენობა დაიბეჭდა, დაიბეჭდა აგრეთვე დეპუტატთა პალატა. მთავრობის რესკრიპტში ნათქვამია: პარლამენტის დათხოვნა და კომისარის დანიშვნა არ შეიძლება აბსოლიუტიზმის აქტთაგანად ჩაირიცხოსო. მეფეს არა აქვს ნება თავის პრეროგატივები კომისარის საშუალებით განახორციელოსო.

ალჟირასი, 6 თებერვალი. გერმანიამ უარჰყო საფრანგეთის წინადადება, რომ მაროკოს სულთანს ერჩია პოლიციის განსახლებლად ფრანგი და ესპანელი აფიცრები, იმიტომ რომ ეს წინადადება ეწინააღმდეგება სახელმწიფოების თანასწორობის პრინციპსო.

რიგა, 6 თებერვალი. ფენიქსის ქარხანასთან მუშები თავს დაეცნენ პატრულს და სროლა აუტეხეს. მოკლეს ერთი მუშა, ერთი დასჭრეს, სალდათების მხრივ ორი დაიჭრა. დაიჭირეს ექვსი მუშა.

ვარშავა, 6 თებერვალი. სადგ. კლიაროსევთან მატარებელში ორი მგზავრი გაძარცვეს და წაიღეს 4500 მ.

7 თებერვალი.

პეტერბურგი, 6 თებერვალი. გაზეთების ცნობით, გაძლიერებულ დაცვის შესახებ გამართულ თათბირზე სასურველად იქნა აღიარებული შემუშავდეს წესები განსაკუთრებულის კანონმდებლობისა საფრანგეთისა და პრუსიის სისტემების მიხედვით.

ვენა, 7 თებერვალი. დეპუტატთა პალატაში კამათის დროს უნგრეთის შესახებ შეკითხვაზე ყველა ორატორებმა ერთხმად განაცხადეს, ავსტრიისა და უნგრეთის უნიის ძირითადი პრინციპი ხელახლა უნდა მოეწყოს ისე, რომ სრულიად უზრუნველყოფილ იქნას ავსტრიის პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესები.

ხარკოვი. საბეითლო ინსტიტუტში გასათავებელი ეგზამენები მარტში დაიწყება.

ვაშინგტონი. 28 იანვარს კოლუმბიის რესპუბლიკის პრეზიდენტს რვაჯერ ესროლეს. 5 ტყვია კალიასკას მოხვდა. პრეზიდენტი უვნებელია.

ვორონეჟი. ციხის შენობაში ირჩევა საქმე ვორონეჟის დისციპლინარულ ბატალიონისა. ბრალი ედება 60 კაცს.

ლონდონი, 7 თებერვალი. დეპუტატთა პალატაში ჩემბერლენმა განაცხადა, ინგლისი მაროკოს შესახებ გამართულ კონფერენციაში მონაწილეობს, როგორც მეგობარი საფრანგეთისა. ალჟესირასში მყოფ ბრიტანეთის წარმომადგენელთ მიენდოთ მხარი დაუჭირონ საფრანგეთს.

იანოვ, 7 თებერვალი. იანვრის გასულს სთვ. ნოტოკში 500-მდე გლეხმა თავის ნებაზე გაასამართლა ცნობილი ქურდი, ჯოხებით მოჰკლა და დაკიდა შარის პირზე. დანარჩენი საეჭვო პირნი ბრბომ შეჰკრიბა სალდართან და მოითხოვა შეეფიცნათ, რომ არასოდეს ქურდობას აღარ ჩაიდენენ და არც ნაქურდალს შეინახვენ.

ბუდაპეშტი. მეფის კომისარმა გენ. ნიირიმ გამოაქვეყნა თავისებური ოქმი, რომელიც პოლკოვნიკ ფაბრიციუსის პარლამენტის შენობაში შესვლას შეეხება. ამ ოქმში ნათქვამია, რომ იგი შეიარაღებულ ძალას იხმარს იმათ წინააღმდეგ, თუ კანონიერათ დათხოვნილი პალატა დეპუტატებისა გაჰბედავს 8 თებერვლის სხდომაზე შეკრებას.

მარიუპოლი, 7 თებერვალი. გლეხები თავიანთ ნებაზე სჩეხენ ტყეს და არ იძლევიან გადასახადს. გაიგზავნა ყაზახ-რუსები.

უსტცილმა. კოვდინისა მეზნინისა და ჟემსკი კოლოსტების ზირიანებმა გააძევეს მამასახლისი და მწერალი. ამბობენ, ამ ვოლოსტებში უკანონობა აღმოჩნდა სანოვაგის დარიგების საქმეში. სათადარიგო ჯარის-კაცთა მოსვლის შემდეგ აქ ერუ მოძრაობამ იჩინა თავი.

ოჩაკოვი, 7 თებერვალი. დღეს დაიწყო სამხედრო-საზღვაო სასამართლოს სხდომები ადესის უნივერსიტეტის სტუდენტებისა, შმიდტისა, 37 მატროსისა და სხ. საქმის გარჩევის შესახებ. საქმე გაგრძელდება 10 დღე. შმიდტს ბრალს სდებენ 51 და 101 მუხ. ძალით, მატროსებს 100 და 109 მუხ.

ბაქო, 6 თებერვალმა მშვიდობიანად ჩაიარა, სომეხ თათართა შეტაკება არ მომხდარა. სადამოს 6 საათზე ახვერდოვის სამინე საწყობში შეიჭრნენ ბოროტ-გამზრახველნი, მოჰკლეს გამგე საწყობისა აბესალომოვი, გაძარცვეს იგი და აგრეთვე კასაც.

სიმფეროპოლი. ბერდიანსკი მაზრაში დაიჭირეს რამდენიმე საერთო მასწავლებელი გლეხთა შორის აგიტაციის გამო.

მოსკოვი, 7 თებერვალი. ხვალ გაიხსნება 17 ოქტომბრის კავშირის კრება. კრებაზე დასასწრებლად თავი მოიყარა 500-მდე დელეგატმა.

პეტერბურგი. სენატმა განმარტა, კანონი ნებას არ აძლევს ხელზე მოსამსახურეთ მონაწილეობა მიიღონ სათათბიროს წევრების არჩევნებში. არა აქვთ ნება აგრეთვე მეეზოვებსაც, მსხვილი ფაბრიკანტები აარსებენ ახალ პოლიტიკურ კლუბს „საარდამსკი პლოტნიკ“-ის სახელით.

ეტერბურგის ბირჟა 7 თებერვალი 1906 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,10
ბერლინისაზე 100 მარკაში.	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები.	95,00
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,80
ბირჟის დისკონტი	5¼—7½%
4% სახელმწიფო რენტა	80⅞
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	74
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	375
5% მე-2 შინ. ეს. მომ. ბილ. 1866 წ.	309½
5% გირ. მომ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	239
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	—
4½% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
5% გირ ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირვ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	75⅞
5% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ს. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	175

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

განცხადებანი

კონფეტის ფაბრიკის „ფრიდონ“-ის ამხანაგობა

ამით აცხადებს, რომ ბ. ბოღდან (ბახშო) მოსეს ძე ტერ-არაქელოვი აღარ მსახურებს ხსენებულს ფაბრიკაში, ამიტომ შემკვეთელთ სთხოვს „ამხანაგობა“ პირდაპირ ფაბრიკას მიჰმართონ. (3—3)

ახალი წიგნები

სამი სიტყვა. თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა—ერთობა ივ. მაჭავარიანისა—5 კ. **როგორ უნდა მოხდეს ხალხის წარმომადგენლების არჩევნები?** ა. ლომთათიძისა—4 კ. **ლუკა შურის ამბავი ანუ ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან** თარგმანი კ. ნინიძისა—6 კ.

იყიდება ვ. გაღილის წიგნის მაღაზიაში, ტფილისი კიროჩნი ქუჩა № 7. და ქ. შორის წ. კ. გამ. საზოგადოების მაღაზიაში. (5—6.—2)

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ელასტიურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მიოხელიძე. მიხეილის ქ. № 90. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—34

ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ მამულო ბანკის გამგეობის

განცხადება.

ხსენებულ ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ბანკის წესდების მე-14 §-ის ძალით, 1906 წლის მარტში, ბანკის სადგომში ტფილისს, (ფრეილინის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურთა სახლი) საჯაროდ გაიყიდება ქვემოდ აღნიშნულ პირთა ის უძრავი მამულები, რომელიც ამ ბანკშია დაგირავებული, რადგან პატრონთ არ შემოუტანიათ ბანკის წესდების 12, 17, 27, 28 და 36 §§-ით დაწესებული გადასახადები 1905 წლის 1-ლი ივლისიდან 1906 წლის პირველ იანვრამდე.

იმ მამულებზე ვაჭრობა, რომელშიაც გრძელვადიანი სესხია გაცემული, მოხდება: 1) ქალაქის მამულებზე, რომელიც ტფილისის ქალაქშია, 8 მარტს; 2) რომელიც სხვა ქალაქებშია, აგრეთვე სხვა ადგილებში, სადაც მამულები იგირავება გრძელ ვადით, როგორც ქალაქის მამულები, 10 მარტს; 3) სოფლის მამულებზე, რომლებზე გრძელ ვადიანი სესხია გაცემული, 13 მარტს; 4) სოფლის და ქალაქის მამულებზე, რომლებზე მოკლე-ვადიანი სესხია გაცემული, 15 მარტს.

თუ აღნიშნულ დღეებში ვაჭრობა არ დასრულდა, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-20 §-ის ძალით, მოხდება იმავ გამგეობაში 1906 წ. 29 მარტს.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-17 §-ის ძალით, დაიწყება ძირითად ვალის იმ დარჩენილი ჯამებიდგან, რომელიც ქვემოდ არის აღნიშნული ქვემოდ აღნიშნულ ბანკის გადასახადის ნედოიმკებისა და აგრეთვე სახელმწიფო, საერობო და საქალაქო გადასახადების და მათ ნედოიმკების დამატებით.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებისათვის, ვისაც ჰსურს შეისყიდოს ის მამულები, რომელზედაც გრძელ ვადიანი სესხია გაცემული, აგრეთვე ის მამულები, რომელზედაც თუმცა მოკლე-ვადიანი სესხია გაცემული, მაგრამ ვალის ვადახდის ვადა არ შესრულებულა, მოვალეა წარმოადგინოს ნაღდ ფულად ბე; ბე იმდენი უნდა იქნეს, რამდენიც ბანკის გადასახადების ნედოიმკა, აგრეთვე რამდენიც სახელმწიფო, საერობო და საქალაქო გადასახადების ნედოიმკები იქნება ვაჭრობის დღემდე გასასყიდ მამულზე. ხოლო ვისაც იმ მამულების შესყიდვა ჰსურს, რომლებზედაც მოკლე-ვადიანი სესხია გაცემული და რომლების თავნი ვალის გადახდის ვადა უკვე დადგა, მოვალეა წარმოადგინოს ბედ გარდა ზემოდ აღნიშნულისა კიდევ 10% თავდაპირველის თავნის ვალისა.

დამტკიცების ხარჯი და ის ზედმეტი ფული, რომელიც ვაჭრობაზე შეაძლიეს ბანკს, მყიდველმა უნდა წარმოადგინოს 14 დღის განმავლობაში ვაჭრობის შემდეგ.

თავნი ვალი იმ მამულებზე, რომლებშიაც გრძელ-ვადიანი სესხია გაცემული, აგრეთვე იმ მამულებზე, რომლებშიაც გაცემულია მოკლე-ვადიანი სესხი და ვადაც არ გასულია, მყიდველს შეუძლია თავის თავზე გადაიტანოს წინანდელ პატრონის ყველა ვალდებულებით; ხოლო იმ მამულებზე, რომელზედაც მოკლე-ვადიანი სესხია გაცემული და ვადა უკვე გაუთავდა, დარჩენილი თავნი ვალი სრულიად უნდა იქნეს გადახდილი ნაღდ ფულად 14 დღის განმავლობაში ვაჭრობის შემდეგ.

ბანკის წესდების მე-15 §-ის ძალით, პატრონს შეუძლია შემოიტანოს ნედოიმკები ვაჭრობის დღემდე და ამრიგად გაანთავისუფლოს მამული გაყიდვისგან.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლია გაიცნოს ყველა საქმები გასასყიდ მამულების შესახებ ბანკის კანცელარიაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა.

ამასთანავე ბანკი წინდაწინვე უცხადებს მამულების მყიდველთ, რომ ბანკი პასუხს არ აგებს, თუ დაგირავებულ გასასყიდ მამულების აღწერა არ ეთანხმება მამულების დღევანდელს მდგომარეობას.

I.

ქალაქის მამულები, რომლებზედაც გაცემულია ხანგრძლივი სესხი.

(საჯარო ვაჭრობა დანიშნულია 8 მარტს).

ტფილისის გუბერნია.

ქალაქის მამულები.

აბაშიძე-საფაროვისა მარიამ მიხეილის ასული: შენობანი, მიწა ზომით 53½ ოთხ-კუთხი საჟ., 1 ნაწილში, მატერიალურ ქუჩაზე. თავნი ვალი 3163 მ. 6 კ., შესატ. გარდ. 147 მ. 87 კ., სულ 3310 მ. 93 კ.

აბრამიანცი სერგეი ოსკანის ძე: შენობანი, მიწა ზომით 490 ოთხ-კუთხი საჟ., მე-10 ნაწილში, ელისაბედის ქუჩაზე. თავნი ვალი 38948 მ. 74 კ., შესატ. გარდ. 381 მ., სულ 39329 მ. 74 კ.

ავალოვისა მაირამ დარჩიას ასული და მადათოვისა გაიანე ტიგრანის ასული: შენობანი, მიწა ზომით: დოკუმენტებით 100 ოთხ-კუთხი საჟ., დამფასებელ კომისიის აღწერით 104 ოთხ-კუთხი საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება, 9 ნაწილში, კუთხე მე-2 თუმანოვის ქუჩისა და ნემეცკების მოედნისა. თავნი ვალი 11750 მ. 85 კ., შესატ. გარდ. 681 მ. 57 კ., სულ 12432 მ. 42 კ.

აველიქოვისა ევგენია ვასილის ასული: შენობანი, მიწა ზომით 300 ოთხ-კუთხი საჟ., მე-6 ნაწილში, ვორონცოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 2363 მ. 42 კ., შესატ. გარდ. 140 მ. 30 კ., სულ 2505 მ. 72 კ.

აგარონოვისა ეკატერინე იაგორის ასული: შენობანი, მიწა ზომით დოკუმენტებით 287½ ოთხ-კუთხი არშ., დამფასებელ კომისსის აღწერით 32 ოთხ-კუთხი საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება, მე-5 ნაწილში, ფომინის ქუჩის შესახვევში. თავნი ვალი 2686 მ. 94 კ., შესატ. გარდ. 155 მ. 47 კ., სულ 2842 მ. 41 კ.

ჰაჯი-მამედ ალი-კურბან-ოღლი: შენობანი, მიწა ზომით 100 ოთხ-კუთხი საჟ., 1 ნაწილში, ვარდისუბნის ქუჩაზე. თავნი ვალი 14520 მ. 91 კ., შესატ. გარდ. 232 მ. 24 კ., სულ 14753 მ. 15 კ.

აზარიანცი დარჩო გეუას ძე: შენობანი, მიწა ზომით 58 ოთხ-კუთხი საჟ., მე-7 ნაწილში, კაპგეროვის ქუჩაზე. თავნი ვალი 2142 მ. 18 კ., შესატ. გარდ. 113 მ. 14 კ., სულ 2255 მ. 32 კ.

აირაპეტოვი სერგო ავეტიქას ძე: შენობანი, მიწა ზომით 88 ოთხ-კუთხი საჟ., მე-5 ნაწილში, ფეთხაინის ქუჩის შესახვევში, თავნი ვალი 1215 მ. 68 კ., 75 მ. 31 კ., სულ 1290 მ. 99 კ.

აკოფაშვილი მელანია გიორგის ასული: შენობანი, მიწა ზომით: დოკუმენტებით 60 ოთხ-კუთხი საჟ., დამფასებელ კომისსის აღწერით 91,8 ოთხ-კუთხი საჟ. ანუ რამდენიც აღმოჩნდება, მე-9 ნაწილში, არსენალის ქუჩაზე. თავნი ვალი 9298 მ. 47 კ., შესატ. გარდ. 353 მ. 45 კ., სულ 9651 მ. 92 კ.

ალაფოვისა ნინა გეუას ასული: შენობანი, მიწა ზომით 53 ოთხ-კუთხი საჟ., მე-7 ნაწილში, შავსოფელში. თავნი ვალი 1699 მ. 17 კ., შესტ. გარდ. 67 მ. 38 კ., სულ 1766 მ. 55 კ.

ალენიკოვისა ალექსანდრა ლონგინოზის ასული: შენობანი, მიწა ზომით 114 ოთხ-კუთხი საჟ., მე-2 ნაწილში, დავიდოვის ქუჩის შესახვევში. თავნი ვალი 9566 მ. 42 კ., შესატ. გარდ. 395 მ. 96 კ., სულ 9962 მ. 36 კ.

ალექსანიანცი ანნა სოლომონის ასული და ოქოევისა ელისაბედ სერგეის ასული: შენობანი, მიწა ზომით 48 ოთხ-კუთხი საჟ., მე-7 ნაწილში, სირაჩხანის აღმართზე. თავნი ვალი 2249 მ. 8 კ., შესატ. გარდ. 211 მ. 83 კ., 2460 მ. 91 კ.